

სოციოლოგიის როგორც მეცნიერების წარმოშობა

1.სოციოლოგიის წარმოშობის სოციალური წანამძღვრები

ა) პოლიტიკური რევოლუციები. XVIII-ე და XIX-ე საუკუნეებში მომხდარმა რევოლუციურმა გადატრიალებებმა, რომლებმაც დიდი ძვრები და ცვლილებები მოიტანეს დასავლურ საზოგადოებებში.განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია სოციალურ მოაზროვნეებს შორის. ამ რევოლუციებს დადებით ცვლილებებთან ერთად ბევრი უარყოფითიც მოჰყვა საზოგადოებაში. მოაზროვნეები გააოგნა რევოლუციების მიერ დატრიალებულმა უწესრიგობებმა და ქაოსმა. ყველა მათგანი საზოგადოებაში წესრიგის და სტაბილურობის აღდგენისა და განმტკიცების სურვილმა გააერთიანა. ზოგი წარსულისაკენ (შუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელი წესრიგისადმი ნოსტალგია) იხედება და მისი ღირებულებების და ფასეულობების აღდგენაზე ოცნებობს; ზოგი კი აცნობიერებს,რომ მომხდარი ცვლილებები ასეთ დაბრუნებას შეუძლებელს ხდის და ცდილობენ საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი საფუძვლები მოიძიონ. სწორედ სტაბილურობის, სოციალური წესრიგისა და პროგრესის იდეები გახდა კიდევ კლასიკოს სოციოლოგთა კვლევისა და ძიების ძირითადი საგანი.

ბ)სამრეწველო რევოლუციები და კაპიტალიზმის აღმასვლა. სამრეწველო გადატრიალებებმა დასავლური საზოგადოებების აგრარული—სასოფლო მეურნეობიდან უპირატესად ინდუსტრიულ სისტემაზე გადასვლა გამოიწვია. ახალმა სისტემამ ადამიანთა სოფლიდან ქალაქად მიგრაცია,ქარხნებსა და ფაბრიკებში ტექნოლოგიური სრულყოფის მთელი სერიები და კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემის დამკვიდრება მოიტანა, ხოლო ამ სისტემის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებამ კი მართვის ახალი სისტემა—ბიუროკრატია, კაპიტალიზმზე რეაქციამ კი მუშათა მოძრაობები წარმოშვა,რომლებიც უკვე კაპიტალიზმის დამხობაზე ფიქრობდნენ. სწორედ სამრეწველო გადატრიალებებმა, კაპიტალიზმმა და მის წინააღმდეგ რეაქციამ დასავლური საზოგადოების წყობაში კოლოსალური გადატრიალება გამოიწვია,რამაც თავის მხრივ სერიოზული გავლენა იქონია სოციოლოგიის როგორც მეცნიერების წარმოშობასა და განვითარებაზე. ჯ.რიტცერის სწორი შენიშვნით, “სოციოლოგიური თეორიის განვითარების გარიჟრაჟზე ისეთი გამოჩენილი მოღვაწეები,როგორებიც იყვნენ კ.მარქსი, მ.ვებერი, ე.დიურკემი და გ.ზიმელი . . ., აქტიურად სწავლობდნენ ცვლილებების მონაცემებს,ასევე ამ ცვლილებების მიერ საზოგადოებაში გამოწვეულ პრობლემებს. ეს მოაზროვნეები მთელი ცხოვრების მანძილზე დაკავებულნი იყვნენ სოციალური პრობლემებით და ბევრ შემთხვევაში ცდილობდნენ შეემუშაებინათ მათი გადაჭრის გზები”(რიტცერი, გვ. 20)

გ) სოციალიზმი და სოციალური თეორიები. თუმცა ზოგიერთი სოციოლოგი ქება—დიდებას ასხამდა სოციალიზმს,როგორც ინდუსტრიული პრობლემების გადაჭრის საშუალებას, მაგრამ მათი უმრავლესობა მას ეწინააღმდეგებოდა,როგორც მეცნიერული, ისე ადამიანურ—ჰუმანური თვალსაზრისით. ერთის

მხრივ, კმარქსი აქტიურად გამოდის კაპიტალისტური სისტემის დამხობისა და მისი სოციალიზმის შეცვლის იდეით. მეორეს მხრივ, ადრინდელი სოციოლოგების უმრავლესობა: მ.ვებერი, ე.დიურკემი, სოციალიზმის მოწინააღმდეგეები იყვნენ. აღიარებდნენ რა კაპიტალისტური სისტემის შიგნით პრობლემების არსებობას, ისინი უპირატესობას ანიჭებდნენ სოციალურ რეფორმებს და არა რევოლუციას, რომლისკენაც კმარქსი მოუწოდებდა. საზოგადოების ინტელექტუალურ ძალებს “სოციალიზმის უფრო ეშინოდათ, ვიდრე კაპიტალიზმისა. ამ შიშმა მეტი გავლენა იქონია სოციოლოგიის თეორიის განვითარებაზე. . . შეიძლება დავასკვნათ, რომ სოციოლოგიური თეორია ჩამოყალიბდა, როგორც მარქსიზმის საწინააღმდეგო რეაქცია”. (რიტცერი, გვ. 20).

დ) **ფემინიზმი და სოციოლოგიური თეორია.** სოციოლოგიური თეორიების განვითარებაზე გავლენა აგრეთვე ფემინისტურმა მოძრაობამაც იქონია, რომელმაც ორგანიზებული ხასიათი XIX საუკუნის 50-იან წლებში მიიღო. ფემინიზმმა იმით, რომ შეძლო მასობრივი მობილიზაცია ქალებისათვის საყოველთაო საარჩევნო უფლებების მოსაპოვებლად და XX-ის დასაწყისში სამოქალაქო და სამრეწველო კანონმდებლობის შესაცვლელად, სოციოლოგებს საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი პლასტების და ურთიერთობების გამოვლენასა და შესწავლაში შეუწყო ხელი.

ე) **ურბანიზაცია და სოციოლოგიური თეორია.** სოციოლოგიური თეორიების განვითარებაზე სერიოზული და მნიშვნელოვანი გავლენა ურბანიზაციულმა პროცესებმა და მასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზისა და გადაჭრის აუცილებლობამაც იქონია.

ვ) **ცვლილებები რელიგიაში და სოციოლოგიური თეორია.** ცვლილებებმა რელიგიურ სფეროში, თავად მოსახლეობის რელიგიურობის ხასიათის შეცვლამ, რომლებიც გამოწვეული იყო ღრმა სოციალური ცვლილებებით, მძლავრი სტიმული მისცა სოციოლოგიური მიდგომის განვითარებას. თითქმის ყველა სოციოლოგიური თეორია ატარებდა რელიგიურობის ბეჭედს, ზოგისთვის კი თავად სოციოლოგია იქცა რელიგიად (ო.კონტი).

ზ) **მეცნიერების როლის ზრდა და სოციოლოგიური თეორია.** XVIII -ე საუკუნის დასასრულს მეცნიერების როლის ზრდამ არა მხოლოდ კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში, არამედ მთლიანად საზოგადოებაში, მეცნიერულ-ტექნიკური შრომის პროდუქტების შეღწევამ ცხოვრების ყველა სფეროში გაზარდა მეცნიერების პრესტიჟი. სოციოლოგთა უმრავლესობა დაინტერესებულნი იყვნენ მეცნიერებით და სოციოლოგიის მოდელირებაც ბუნებისმეცნიერების ანალოგიით უნდოდათ. თუმცა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჯერ კიდევ მ.ვებერი აღნიშნავდა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების განმასხვავებელი მახასიათებლები არ იძლევიან მეცნიერული მოდელისადმი ბრმად მიბაძვის საშუალებას.

2) **ინტელექტუალური ძალების გავლენა სოციოლოგიური თეორიების განვითარებაში.** ინტელექტუალური ძალებიდან, რომლებმაც ცენტრალური როლი ითამაშეს სოციოლოგიური

თეორიების განვითარებაში, აღსანიშნავია ორი: განმანათლებლობა და კონსერვატიული რეაქცია განმანათლებლობაზე.

როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, განმანათლებლობა იყო მნიშვნელოვანი ინტელექტუალური ზრდისა და ფილოსოფიური აზრის ცვლილებების პერიოდი. განმანათლებლობის დროს დიდი რაოდენობის უძველესი იდეები და შეხედულებები, რომელთა შორის ბევრი ეხებოდა სოციალურ ცხოვრებას, უარყოფილი იქნა და შეიცვალა ახლით. მაგრამ განმანათლებლობის გავლენა სოციოლოგიურ თეორიებზე უფრო ირიბი და ნეგატიური იყო, ვიდრე პირდაპირი და პოზიტიური. ადრინდელი სოციოლოგია ვითარდებოდა როგორც განმანათლებლობის იდეებისადმი დაპირისპირება.

განმანათლებლობის მოაზროვნეები (შ.მონტესკიე, ჟან-ჟაკ რუსო და სხვები) ცდილობდნენ თავიანთი იდეები, თუნდაც ნაწილობრივ, აეღოთ რეალური სამყაროდან, ისინი ასევე მიისწრაფვოდნენ, რომ ეს იდეები ჩაეყენებინათ სოციალური სამყაროს სამსახურში და დახმარებოდნენ მის კრიტიკულ ანალიზში.

გარდა ამისა, განმანათლებლობას ახასიათებს რწმენა, რომ ადამიანებს ძალუძთ სამყაროს არსის გაგება და ემპირიული გამოკვლევებისა და გონების საფუძველზე მისი მართვა. სხვა სიტყვებით, რადგან ფიზიკურ სამყაროს მართავს ბუნების კანონები, მაშინ, სავარაუდოა, რომ სოციალურ სამყაროსაც მართავდეს მისივე კანონები. ამგვარად, შემეცნების ამოცანაა გონებითა და ემპირიული გამოკვლევებით დაადგინოს სოციალური სამყაროს კანონები; სოციალური სამყაროს კანონების დადგენის საფუძველზე განმანათლებლები ისახავენ სავსებით პრაქტიკულ მიზნებს-- შექმნან “უკეთესი”, უფრო რაციონალური სამყარო. გონების როლის აღნიშვნისას, განმანათლებლებს ეჭვი შეჰქონდათ ტრადიციულ ძალაუფლებაში. იკვლევდნენ ტრადიციულ ღირებულებებსა და ინსტიტუტებს, რომლებიც ადამიანის ზრდასა განვითარებას ამუხრუჭებდნენ “ განმანათლებლობის ფილოსოფოსები, ორიენტირებულნი თავიანთი იდეების პრაქტიკულ განხორციელებასა და საზოგადოების რეალურ ცვლილებებზე, თავის მისიას ამ არაგონიერული სისტემების გარდაქმნაში ხედავდნენ” (რიტცერი, გვ. 24).

განმანათლებლობამ ყველაზე დიდი გავლენა ფრანგულ სოციოლოგიასა და მარქსის შეხედულებებზე მოახდინა. ფრანგული სოციოლოგია გახდა რაციონალური, ემპირიული, მეცნიერული და ცვლილებებზე ორიენტირებული. მაგრამ სოციოლოგიური თეორიების განვითარებაზე არანაკლებ იმოქმედა განმანათლებლობის საწინააღმდეგო იდეებმაც, რომლებიც წარმოდგენილი იყო ფრანგული კათოლიკური კონტრევოლუციური ფილოსოფოსების: ლუი დე ბონალდისა (1794--1840) და ჟოზეფ დე მესტრას (1753--1821) შეხედულებებით. ისინი ეწინააღმდეგებოდნენ არა მხოლოდ განმანათლებლობას, არამედ ფრანგულ

რევოლუციასაც, რომელიც ნაწილობრივ განმანათლებლობისათვის დამახასიათებელი აზროვნების წესის შედეგად მიაჩნდათ.

ბონალდი შეძრწუნებული იყო რევოლუციური ცვლილებებით და შუასაუკუნეების მშვიდი ჰარმონიული სინამდვილისაკენ დაბრუნება სწყუროდა. მისი აზრით, საზოგადოება ღვთიური წარმოშობისაა, მაშასადამე, გონება ტრადიციულ რელიგიურ წარმოდგენებსაა დაქვემდებარებული. უფრო მეტიც, თვლიდა რამდენადაც საზოგადოება შექმნა ღმერთმა, ადამიანები არ უნდა ჩაერიონ არსებულ წესრიგში და არ უნდა შეეცადონ ღვთიურ ქმნილებებში ცვლილებების შეტანას. ამავე დროს, ბონალდი ეწინააღმდეგება ისეთი ტრადიციული ინსტიტუტების ნგრევას, როგორებიცაა: პატრიარქატი, მონოგამიური ქორწინება, მონარქია კათოლიკური ეკლესია.

კონსერვატიულმა მოაზროვნებმა უარი უთხრეს განმანათლებლობის “გულუბრყვილო” რაციონალიზმს. ისინი არა მხოლოდ აღიარებენ სოციალური ცხოვრების ირაციონალურ ასპექტებს, არამედ მიაწერენ მათ დადებით საზრისაც. ისეთ ფენომენებს, როგორებიცაა ტრადიცია, ამაღლებული ემოციურობა, წარმოსახვა და რელიგია განიხილავდნენ, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის სასარგებლო და აუცილებელ კომპონენტებს. ისინი უარყოფენ რევოლუციურ გადატრიალებებს და ისწრაფვიან შეინარჩუნონ არსებული წესრიგი, კიცხავენ განვითარების ისეთ ფორმებს, როგორებიცაა ფრანგული რევოლუცია, სამრეწველო გადატრიალება, აიგივებდნენ მათ გამანადგურებელ ძალებთან. კონსერვატიული მოაზროვნებისათვის დამახასიათებელია საზოგადოებრივი წესრიგის ხაზგასმა. ეს კი წამყვანი თემაა თეორეტიკოს სოციოლოგთა შრომებში.

მკვლევარები (ცეიტლინი, ჯ.რიტცერი და სხვები) გამოყოფენ ათ ძირითად დებულებას, რომლებიც გამომდინარეობს კონსერვატიულ მოაზროვნეთა შეხედულებებიდან და შეადგენენ ფრანგული და არა მხოლოდ ფრანგული, არამედ კლასიკური სოციოლოგიის თეორულ საფუძველს.

1. მაშინ როდესაც განმანათლებლობის მოაზროვნები ხაზს უსვამდნენ ინდივიდუალურობის მნიშვნელობას, კონსერვატიული რეაქციონერების ინტერესები უფრო სოციალურ ხასიათს ატარებდა: აქცენტი კეთდებოდა საზოგადოებისა და სხვა უფრო მაშტაბური ფენომენების როლზე. საზოგადოება განიხილებოდა, როგორც ინდივიდთა უბრალო ერთობაზე უფრო მეტი რამ. ითვლებოდა, რომ საზოგადოებას აქვს განვითარების საკუთარი კანონები, როლებიც სათავეს იღებენ შორეულ წარსულში.
2. საზოგადოება გადაიქცა ანალიზის მთავარ ერთეულად; ის განიხილებოდა, როგორც უფრო მნიშვნელოვანი ვიდრე ინდივიდი. სწორედ საზოგადოება ქმნის ინდივიდს, უპირატესად სოციალიზაციის პროცესში.
3. ინდივიდუმი თვით საზოგადოების შიგნითაც არ განიხილება როგორც ძირითადი ელემენტი. საზოგადოების შემადგენელ კომპონენტებად ითვლებოდა როლი, მდგომარეობა, სტრუქტურა და

ინსტიტუტები. ინდივიდის როლი ოდნავ უფრო მეტია ვიდრე ამ კომპონენტების უჯრედების უბრალოდ შევსება.

4. საზოგადოების ნაწილები არსებობენ ურთიერთკავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებაში. რა თქმა უნდა ეს ურთიერთდამოკიდებულება საზოგადოების საფუძველია. ამ თვალსაზრისს მიუყვართ კონსერვატიულ პოლიტიკურ ორიენტაციამდე. რადგან საზოგადოების ყველა ნაწილი ურთიერთდამოკიდებულია, თითოეული მათგანის დასუსტება ზემოქმედებს მეორეზე და საბოლოოდ მთელ სისტემაზე. ეს კი ნიშნავს, რომ სოციალური სისტემის ყველა ცვლილებები უნდა ტარდებოდეს უდიდესი სიფრთხილით.

5. ცვლილებები განიხილებოდა როგორც საშიშროება არა მხოლოდ საზოგადოებისა და მისი კომპონენტებისათვის, არამედ აქ მყოფი ინდივიდუუმებისათვისაც. საზოგადოების სხვადასხვა კომპონენტები მოწოდებულნი იყვნენ ადამიანების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ვარაუდობდნენ, რომ ინსტიტუტების ნგრევა ადამიანებს ტანჯვას მიაყენებს, რაც თავის მხრივ, გამოიწვევს სოციალურ უწყესრიგობას.

6. ზოგადი ტენდენციის თანახმად საზოგადოების მსხვილი შემადგენელი ნაწილები სასარგებლოა ინდივიდუუმებისა და საზოგადოებისათვის. შედეგად არ არსებობდა არსებული სოციალური ინსტიტუტების საქმიანობის ნეგატიური შეფასებების არავითარი მოტივაცია.

7. შედარებით წერილი კომპონენტები, როგორებიცაა ოჯახი, მეზობლობა, რელიგიური ან დასაქმების მიხედვით შედგენილი ჯგუფები, ასევე ითვლებოდა სასარგებლოდ საზოგადოებისა და ინდივიდებისათვის, რადგან აქ იქმნებოდა ახლო და თბილი ატმოსფერო, რაც ძალზე საჭიროა თანამედროვე საზოგადოებაში თავის შესანარჩუნებლად.

8. მიიჩნევდნენ, რომ თანამედროვე საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ცვლილებები, როგორებიცაა ინდუსტრიალიზაცია, ურბანიზაცია და ბიუროკრატია იწვევენ სოციალურ უწყესრიგობას. მათ შიშით და განგაშით შეჰყურებდნენ, მიუთითებდნენ მათი დამანგრეველი ძალების ნეიტრალიზების მიზნით ღონისძიებების გატარების აუცილებლობაზე.

9. მაშინ როდესაც ამ შიშისმომგვრელ ცვლილებებს საზოგადოება მიყავდა უფრო რაციონალური წყობისაკენ, კონსერვატიული ოპოზიცია ხაზს უსვამდა ირაციონალური ფაქტორების მნიშვნელობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში (მაგალითად, რიტუალებს, ცერემონიებს, ღვთისმსახურებას).

10. და ბოლოს, კონსერვატორები იცავდნენ საზოგადოების იერარქიულ სისტემას, მნიშვნელოვნად მიიჩნევდნენ საზოგადოებრივი მდგომარეობისა და წახალისების დიფერენცირებული სისტემის არსებობას. (უფრო დაწვრილებით ამის შესახებ იხილეთ: ჯორჯ რიტცერის შრომა “ თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები” ,რუსულ ენაზე 2002 წ.)

ამგვარად, პირველი სოციოლოგები - ო.კონტი და სპენსერი -- ცდილობდნენ შეექმნათ საზოგადოების შესახებ ისეთი მეცნიერება, რომელიც ფიზიკის ან ბიოლოგიის მსგავსად შეძლებდა საზოგადოებრივი განვითარების კანონების აღმოჩენას და დაფუძნებას. ამ კანონების საფუძველზე კი საზოგადოებრივი ურთიერთობების კარმონიზაცია შესაძლებელი გახდებოდა, რამეთუ სწორედ ამ კანონების ცოდნა აძლევს მმართველებსა და მმართველებს იმის ჭეშმარიტ ორიენტირებს, თუ როგორ უნდა იმოქმედონ ადამიანებმა, რათა საზოგადოებაში დამყარდეს წესრიგი და კეთილდღეობა.

ოგიუსტ კონტი და პოზიტივისტური სოციოლოგიის ჩასახვა

შინაარსი

1. ცხოვრებისა და შემოქმედების ეტაპები;
2. იდეური წყაროები;
3. პოზიტივიზმი, როგორც მეცნიერებათა დაფუძნება;
4. სოციოლოგია, როგორც მეცნიერება;
5. სოციოლოგიის ობიექტი;
6. მეთოდი: “ობიექტური” და “სუბიექტური” სოციოლოგია
7. სოციალური სტატისტიკა
8. სოციალური დინამიკა;
9. მეცნიერებიდან უტოპიური პროექტებისაკენ.

საკვანძო სიტყვები და გამოთქმები

პოზიტიური, პოზიტივიზმი, მეცნიერებათა კლასიფიკაცია, სოციალური ორგანიზმი, სოციალური სისტემა, სოციალური წესრიგი და პროგრესი, სოციალური სტატიკა, სოციალური დინამიკა, სამი სტადიის კანონი, კაცობრიობის რელიგია, სოციოკრატია – სოციოლატრია (სოციუმისადმი თაყვანისცემა).

ოგიუსტ კონტი: ბიოგრაფიული ნარკვევი.

კონტი დაიბადა 1798 წელს მონპელიეში, ჩინოვნიკის ოჯახში. ესაა რევოლუციური ცვლილებების ეპოქა, რამაც უდიდესი გავლენა იქონია კონტის მსოფლმხედველობაზე, რომელიც ერთის მხრივ გვევლინება პოზიტივიზმის ფილოსოფიაში, ხოლო მეორეს მხრივ სოციოლოგიის ფუძემდებლად. პირველად დაინტერესებული იყო მათემატიკის შესწავლით, მათემატიკის მასწავლებელიც კი იყო. მათემატიკით დაინტერესებამ იგი მიიყვანა მეცნიერების ფილოსოფიასთან. განსაკუთრებით დიდი გავლენა იქონია მასზე მონტესკიემ და კონდორსემ – პირველმა თავისი დებულებით იმის შესახებ, რომ პოლიტიკურ-სამართლებრივი მოვლენები დამოკიდებულია ბუნებრივ კანონებზე, ხოლო მეორემ კაცობრიობის პროგრესული განვითარების კანონის ფორმულირებითა და ისტორიის კონცეფციით, რომელშიც მთავარი ადგილი საზოგადოების იდეების, ინსტიტუტების და ურთიერთობების ევოლუციას უჭირავს. იგი დაინტერესებულია აგრეთვე პოლიტეკონომიით, აკრიტიკებს ლიბერალურ ეკონომისტთა შეხედულებებს თავისუფალი კონკურენციის შესახებ, რომელსაც მათი აზრით შეუძლიათ მიგვიყვანოს თავისუფალ და დამოუკიდებელ ინდივიდთა საზოგადოებრივ ჰარმონიასთან. ამ მოძღვრებას იგი უპირისპირებს საზოგადოებრივი ერთიანობის, კლასთა და ინდივიდთა პოლიტიკური ინტეგრაციის იდეას, რომლის დროსაც იგი ეყრდნობა ტრადიციონალისტთა კონცეფციას, საზოგადოებრივი წყოფის მათ გაგებას.

1817-1824 წწ. კონტი მდინად მუშაობდა სენ-სიმონთან რამაც შესაძლებლობა მისცა მრავალი მისი იდეები შეეთვისებინა, მაგრამ უთანხმოებებმა ძირეულ თეორიულ და პოლიტიკურ საკითხებზე მათი დაპირისპირება და ურთიერთობის გაწყვეტა გამოიწვია. კონტის პოზიტიური ფილოსოფიის სისტემა შეიცავს მართალია ბევრ ისეთ მომენტს, რომელიც სენ-სიმონის კონცეფციას მოგვაგონებს, მაგრამ მიუხედავად ამისა მთლიანობაში მისი სისტემა ეყრდნობა სხვა ფილოსოფიურ და თეორიულ საფუძვლებს. კონტის ექვს ტომიანი შრომა “პოზიტიური ფილოსოფიის კურსი” გამოქვეყნებულ იქნა 1830 წ. და 1842 წ შორის. მასში დამუშავებულია მეცნიერებათა კლასიფიკაციის, პოზიტიური ფილოსოფიისა და სოციოლოგიის პრინციპები. მეორე შრომა კონტმა მიუძღვნა პოლიტიკისა და მომავლის რელიგიის საფუძვლებს. ესაა “პოზიტიური პოლიტიკის სისტემა ანუ კაცობრიობის რელიგიის დამდგენი ტრაქტატი”. ოთხ ტომად (1851-54). კონტის სიცოცხლეში გამოქვეყნებულ იქნა აგრეთვე მისი შრომები “ფილოსოფიური ტრაქტატი პოპულარული ასტრონომიის შესახებ” (1844), “განაზრებანი პოზიტიური ფილოსოფიის სულის შესახებ (1844); “განაზრებანი პოზიტივიზმზე მთლიანობაში” (1848-51), “პოზიტივისტური კატეხეზისი” (1854), “მოწოდება კონსერვატორებისადმი” (1855) და “სუბიექტური სინთეზი” (1856), ხოლო სიკვდილის შემდგომ – “კონტის ანდერძის” ოთხტომეული.

სენ-სიმონისგან წამოსვლის შემდეგ კონტს თითქმის არ ჰქონდა მუდმივი სამუშაო და იგი ერთად არასასიამოვნო და არახელსაყრელ პირობებში აღმოჩნდა მხოლოდ თავისი წინასწარმეტყველური მისიის რწმენა, რომ პოზიტიური ფილოსოფიის სისტემის შექმნა საზოგადოებრივი ვალის აღსრულებაა, აძლედა მას საშუალებას გაეგრძელებინა მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. მართალია მან 1848 წლის ცნობილი გამოსვლების დროს შექმნა პოზიტივისტური მსოფლმხედველობა, უნდა

გავერცხვებინა, მაგრამ ის მაინც უცხო დარჩა – მუშებისადმი და ვერც ერთი მებრძოლი მხარიდან მხარდაჭერა ვერ მოიპოვა, ასევე ვერ მოიპოვა მხარდაჭერა მისმა მოწოდებამ ინტელექტუალებისადმი შეექმნათ “წესრიგისა და პროგრესის პარტია”. გარდაიცვალა კონტი მარტოობაში 1857 წელს.

მიუხედავად კონტის პირველ და მეორე პერიოდებს შორის არსებული მოჩვენებითი წინააღმდეგობისა, მეორე პერიოდიც იმავე იდეურ წინამძღვრებს ეყრდნობა, ესენია: კაცობრიობის მორალური ერთიანობის, საზოგადოების ახალი რელიგიის- პოზიტივიზმის საფუძველზე რეორგანიზაციის იდეა, რომელიც ამავე დროს სოციალური მეცნიერების თეორიაა, განმსჭვალავენ კონტის მთელ შემოქმედებას. სოციალური მეცნიერების, რომლის შექმნასაც იგი ცდილობდა და ახალი რელიგიის ფუნქციებს კონტი იგივეობრივად მიიჩნევდა, ფიქრობდა, რომ შეიძლება არსებობდეს ჭეშმარიტი, მეცნიერული რელიგია, ანუ რაც იგივეა მორალური მეცნიერება, რომელიც საზოგადოებრივი ინტეგრაციის რელიგიურ ფუნქციებს შეასრულებდა. აქედან წარმოიშვა კონტის შეხედულებებისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი მთავარი პარადოქსი.

1. მეცნიერებათა კლასიფიკაცია

თეოლოგიისა და მეტაფიზიკისგან მეცნიერების გამოყოფა იყო კონტის პოზიტიური მეთოდის ძირითადი იდეა. მისი აზრით, მეცნიერების ამოცანაა კანონების აღმოჩენა, კანონებისა, რომლებიც გაგებულია, როგორც მოვლენებს შორის მყარი და განმეორებადი კავშირი. მეცნიერებათა ამოცანების ასეთი შეზღუდვა გამართლებული იყო ზუსტი, განსაზღვრული ცოდნის მიღწევის სურვილით, რომელსაც შეეძლებოდა შეექმნა მომავლის წინასწარხედვისათვის.

მეცნიერებათა კლასიფიკაციის დამუშავებისას, კონტი ეყრდნობოდა მათ ობიექტურ ნიშნებსა და მახასიათებლებს, უპირველეს ყოვლისა მან მეცნიერებები დაყო აბსტრაქტულ და კონკრეტული სახის მეცნიერებებად, პირველნი სწავლობენ მოვლენათა განსაზღვრული კატეგორიების კანონებს, მეორენი კი იყენებენ ამ კანონებს. კერძო სფეროებში ანუ კერძო სფეროებს მიუყენებენ ამ კანონებს. მაგ: ბიოლოგია არის ზოგადი, აბსტრაქტული მეცნიერება სიცოცხლის შესახებ. მედიცინა კი – კონკრეტული მეცნიერებაა რომელიც იყენებს ბიოლოგიის ზოგად კანონებს. კონტი გამოყოფს ხუთ აბსტრაქტულ-თეორიულ მეცნიერებას: ასტრონომიას, ფიზიკას, ქიმიას, ბიოლოგიას და სოციოლოგიას. ბუნებისეული მოვლენების – ასტრონომიულის, ფიზიკურის, ქიმიურის და ბიოლოგიურის – ძირითად კატეგორიებს მან დაუმატა საზოგადოებრივ მოვლენათა კატეგორიები, მისცა რა ამით თავის კლასიფიკაციას “მისი საბოლოო კონსტრუირებისა და აგებისათვის საყოველთაო და აუცილებელი ხასიათი”. კონტის მეცნიერებათა “ენციკლოპედიური კიბე” შეიქმნა შესაბამისი მეცნიერებების მიერ შესასწავლი მოვლენების სირთულის ზრდის პრინციპის მიხედვით. სოციალური მოვლენები ყველა სხვისაგან განსხვავდებიან ყველაზე დიდი სირთულით და ამავე დროს დამოკიდებულნი არიან ყველა დანარჩენზე, რაც გვიხსნის სოციოლოგიის ყველაზე გვიანდელ წარმოშობას. მიუხედავად ამისა, ესენია – ბუნებრივი მოვლენები, რომლებიც ექვემდებარებიან მოცემული სფეროსათვის სპეციფიკურ ბუნებრივ კანონებს.

საზოგადოების შესახებ პოზიტიურ მეცნიერებას კონტმა თავდაპირველად სოციალური ფიზიკა, ხოლო მოგვიანებით სოციოლოგია უწოდა. ახალი ტერმინის შემოტანას გვიხსნის არა ნეოლოგიზმებისადმი მიდრეკილებით, არამედ სპეციალური დისციპლინის შექმნის აუცილებლობით, რომელიც მიექვნებოდა საზოგადოებრივი ფენომენებისადმი დამახასიათებელი ფუნდამენტური კანონების პოზიტიურ გამოკვლევებს. იგი ხაზს უსვამდა, რომ სოციოლოგია უნდა იყოს თეორიული დისციპლინა განსხვავებით ა. კეტლეს აღწერითი “სოციალური ფიზიკისაგან”. სოციოლოგიის პოზიტიურ მეცნიერებად ქცევა ასრულებს პოზიტიური ფილოსოფიის სისტემას, ამით კი გვაუწყებს ადამიანური გონებისა და ადამიანური საზოგადოების განვითარების პოზიტიური სტადიის დადგომას. ეს იქნებოდა კონტის აზრით, ნამდვილი “პოზიტიური რევოლუცია”, მეცნიერების გამარჯვება წარსულ საუკუნეთა სქოლასტიკაზე”.

3. სოციოლოგიის საგანი და ამოცანები

კონტი სოციოლოგიას, როგორც პოზიტიურ მეცნიერებას უპირისპირდება საზოგადოებისა და ადამიანის შესახებ თეოლოგიურ და მეტაფიზიკურ სპეკულაციებს. ერთის მხრივ, იგი აკრიტიკებდა თეოლოგებს, რომლებიც ადამიანს განიხილავდნენ როგორც არსებას, რომელიც პრინციპულად განსხვავდება ცხოველისგან, თვლიდნენ მას ღმერთის ან განგების ქმნილებად. მეორე მხრივ, აკრიტიკებდა რა მის წინამორბედ “მეტაფიზიკოს” ფილოსოფოსებს, იგი მათ საყვედურობდა იმას, რომ მათ საზოგადოება ესმით როგორც ადამიანური გონების ქმნილება, როგორც ინდივიდთა გონიერი ნების პროდუქტი. სოციოლოგია კონტის მიხედვით – ერთადერთი მეცნიერებაა, რომელიც შეისწავლის იმას თუ როგორი ხდება სრულყოფილი ადამიანის გონება და მისი ფსიქიკა საზოგადოებრივი ცხოვრების გავლენით.

ძირითადი და პირველადი სინამდვილე, რომლიდანაც უნდა ამოვიდეს სოციოლოგი, არის საზოგადოება, აღებული მის მთლიანობაში კონტს ამის ქვეშ ესმოდა მთელი კაცობრიობის ან რომელიმე მისი დიდი ნაწილის ორგანული ერთიანობა, რომელიც დაკავშირებულია “საყოველთაო თანხმობით” (*consensus omnium*) და რომელსაც ახასიათებს მისი სტრუქტურული ელემენტების ჰარმონიული ფუნქციონირება. საზოგადოების მეტისმეტი სირთულე აიხსნება იმით, რომ მასში მოქმედი თანამედროვე ფაქტორები ერწყმიან ისტორიულს, წარსული თაობები გავლენას ახდენენ თანამედროვე თაობებზე. საზოგადოება, ანუ როგორც მას კონტი უწოდებს კაცობრიობა – ესაა უმაღლესი სინამდვილე (*suigeneris* - ერთგვარი), უმაღლესი არსება.

3. სოციოლოგიის მეთოდები

კონტის სოციოლოგიის არსებითი ნაწილია საზოგადოების კვლევაში გამოყენებულ მეთოდთა დამუშავება – შემუშავება, გამოდის რა ერთის მხრივ გონებაჭკერეტიზმის, ხოლო მეორეს მხრივ ემპირიზმის უკიდურესობათ წინაღმდეგ. კონტი ასაბუთებს დაკვირვების, აგრეთვე ექსპერიმენტული, შედარებითი და ისტორიული მეთოდების გამოსადეგობას სოციოლოგიაში.

დაკვირვება, ამტკიცებს კონტი, წარმოადგენს კვლევის ძირითად მეთოდს სოციოლოგიაში. სოციალური ფაქტთა დაკვირვებამ სოციოლოგია უნდა აიყვანოს მეცნიერების რანგში, მასალას, რომლითაც ოპერირებს სოციოლოგი, მისცეს ობიექტური ხასიათი. ემპირიული მასალის დაგროვება უნდა მოხდეს თეორიის ხელმძღვანელობით.

სწორედ პოზიტიური თეორიის არარსებობა, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა ფაქტების შეკრება და განზოგადება, წარმოადგენს კონტის აზრით, სოციოლოგიის ძირითად სიძნელეს, რომელიც ვარდება მიწიერ წრეში, რამდენადაც დაკვირვების ჩასატარებლად საჭიროა თეორია ხოლო თეორიის შესაქმნელად კი დაკვირვებები.

სოციოლოგიის მნიშვნელობით **მეორე მეთოდად კონტი თვლიდა ექსპერიმენტს** უშუალო ექსპერიმენტი სოციოლოგიაში მდგომარეობს კვლევის მიზნებისათვის სპეციალურად შექმნილი პირობების საკვლევი მოვლენის ცვალებადობაზე დაკვირვებაში. არაპირდაპირი გაშუალებული ექსპერიმენტი კონტს ესმოდა როგორც საზოგადოებაში არსებულ პათოლოგიურ დაგახრათ კვლევა, რომელი გადახრებიც გამოწვეული იყო საზოგადოებრივ შერყევათა ძირითადად რევოლუციური ხასიათის რყევათა გავლენით. საზოგადოებრივი წესრიგის არეგ-დარევა პერტურბაციები, რომლებიც არყევენ სოციალური ორგანიზმს, კონტის აზრით, ეარმოადგენენ ინდივიდუალური ორგანიზმის ავადმყოფობათა ანალოგიას „ათში ნათლად ვლინდებიან საზოგადოებრივი ორგანიზმის ძირითადი კანონები რამდენადაც ავადმყოფობა საშუალებას გვაძლევს უკეთ შევიცნოთ ნორმა.

პოზიტიურ მეცნიერებათა **მესამე მეთოდი რომელსაც სოციოლოგია აყენებს ესაა შედარებითი მეთოდი**, რომლის დახმარებითაც ერთმანეთს უდარებენ ხალხთა ცხოვრებას, რომლებიც ერთდროულად ცხოვრობენ დედამიწის სხვადასხვა კუთხეში რათა დაადგინონ საზოგადოებათა არსებობის და განვითარების ზოგადი კანონები.

სოციალური მოვლენებისადმი ყველაზე შესატყვის, სოციოლოგიის სპეციფიკურ მეთოდად კონტი თვლის ისტორიულ მეთოდს – “კაცობრიობის განსხვავებულ თანმიმდევრულ მდგომარეობა – ვითარებათა ისტორიული შედარების” – მეთოდს.

სოციალური სტატიკა

კონტმა სოციოლოგია გაყო ორ დიდ განყოფილებად: სოციალურ სტატიკად და სოციალურ დინამიკად. პირველი შეისწავლის საზოგადოებრივი სისტემის ფუნქციონირების კანონებსა და არსებობის პირობებს, მეორე კი – სოციალურ სისტემათა ცვალებადობის და განვითარების კანონებს.

სოციალური სტატიკა – ესაა საზოგადოებრივი წესრიგის, ორგანიზაციის, ჰარმონიის თეორია. საზოგადოებას კონტი განიხილავს როგორც ორგანულ მთლიანობას, რომლის ნაწილები

ურთიერთდაკავშირებულია და შეიძლება გაგებულ იქნეს მხოლოდ ერთიანობაში. იგი უწინარეს ყოველისა, განიხილავს ძირითად საზოგადოებრივ ინსტიტუტებს:

ოჯახს,

სახელმწიფოს,

რელიგიას

მათი საზოგადოებრივი ფუნქციების და სოციალური ინტეგრაციის საქმეში როლის თვალსაზრისით. ოჯახის როლი ინდივიდსა და გვარს (მოდემას) შორის აღზარდოს ახალგაზრდობა ალტრუიზმის სულით, ასწავლოს თანდაყოლილი ეგოიზმის გადალახვა. ოჯახი, კონტთან გვევლინება “ხან როგორც ჩვენი მორალური აღზრდის სპონტანურ წყაროდ, ხან როგორც ჩვენი პოლიტიკური ორგანიზაციის ბუნებრივი ბაზა. თავისი პირველი ასპექტით ყოველი თანამედროვე ოჯახი ამზადებს მომავლის საზოგადოებას, თავისი მეორე ასპექტით ყოველი ახალი ოჯახი აგრძელებს არსებული საზოგადოების ცხოვრებას”.

ოჯახური ურთიერთობების უფრო ფართო საზოგადოებრივი პლანის ანალოგიაა **კოოპერაცია, რომელიც დაფიქნებულია შრომის დანაწილებაზე**. თითოეული აქ აკეთებს იმას, რისი კეთების ნიჭიც ყველაზე მეტად აქვს მომადლებული. ყველა დაინტერესებულია ერთმანეთით. ასე წარმოიშობა საყოველთაო “თანხმობა” (consensus omnium) და ინდივიდთა სპონტანური ურთიერთშემოქმედება.

იმის დადგენისაგან, რომ არსებობს საზოგადოების დაშლის, მისი ორგანული ერთიანობის დარღვევის ტენდენცია, კონტმა გამოყვანა მთავრობის როგორც “საერთო გონის – სულის” გამომხატველის პოლიტიკური ძალაუფლების აუცილებლობა. მთავრობის სოციალური დანიშნულება კონტის მიხედვით მდგომარეობს იმაში, რომ თავიდან აგვაცილოს “იდევში გრძნობებსა და ინტერესებში ძირეული განსხვავებულობისადმი ეს ფატალური მიდრეკილება, რომელსაც წარმოადგენს რა ადამიანური განვითარების თვითონ პრინციპის გარდუვალ შედეგს შეეძლება თუ თავის გზაზე არ შეხვდება დაბრკოლებები, გარდუვალად მიგვიყვანოს სოციალური პროგრესის გაჩერებასთან”. ამგვარად სახელმწიფო ეს არის სოლიდარობის ორგანო, ხოლო მისდამი დაქვემდებარება კი ინდივიდის წმიდათა წმინდა მოვალეობაა. საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი – სახელმწიფო – ასრულებს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და მორალურ ფუნქციებს, რომელთაგან ძირითადს კონტი ბოლო ორს მიიჩნევს.

ეკლესია. შუასაუკუნეებში ეკლესიის მიერ განხორციელებული სულიერი დიქტატურის ღირსებების ქება – დიდებისას, კონტი მასში ხედავს პოზიტივიზმის – როგორც იდეების, პრინციპებისა და კონცეფციების ანალოგიას, რომელსაც დამატებული აქვს თავისებური კულტი – სამოქალაქო წეს – ჩვეულებების სერია, რომელიც მოწოდებულია შეცვალოს ძველი, ტრადიციული, ეკლესიური წეს – ჩვეულებები.

კონტი სულიერი ცხოვრების მთავარ ღოზუნგად, “იცხოვრე სხვისთვის” პრინციპს და შესაბამისად მოვალეობათა ეთიკას აცხადებს.

სოციალური დინამიკა

“საზოგადოებრივი პროგრესის პოზიტიურ თეორიას” კონტმა სოციალური დინამიკა უწოდა. პროგრესი კონტის მიხედვით ნიშნავს განვითარებას აღმავალი ხაზით.. საზოგადოებრივი პროგრესი ამავე დროს მორალური პროგრესია.

გონების განვითარების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია ყველაზე ზოგადი, აბსტრაქტული ცნებების არსებობა ამიტომ საზოგადოების განვითარების ხარისხის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ შესატყვისი ფილოსოფიური სისტემების მიხედვით. ადამიანური გონების განვითარების ყოველ ეტაპს რომელიც კანონზომიერად გაივლის სამ ძირითად სტადიას თეოლოგიურს, მეტაფიზიკურს და პოზიტივისტურს შეესატყვისებთან ხელოვნების, მეურნეობის, პოლიტიკის და საზოგადოებრივი წყობის განსაზღვრული ფორმები.

კონტის სოციოლოგიის ქვაკუთხედი – სამი სტადიის კანონი – ერთდროულად წარმოადგენს ისტორიულ და ლოგიკურ კანონს. ადამიანური გონების განვითარების სამი სტადია შეესატყვისება ისტორიის განვითარების სამ ანალოგიურ სტადიას.

თეოლოგიურ ანუ ფიქტიურ სტადიას, რომელიც მოიცავს ძველ სამყაროსა და ადრეულ შეუსაუკუნეებს, კონტი ყოფს სამ პერიოდად: ფეტიშიზმად, პოლითეიზმად და მონოთეიზმად. **ფეტიშიზმის** დროს ადამიანები სიცოცხლეს მიაწერდნენ გარეგან საგნებს და მათში ხედავდნენ ღმერთებს,

პოლითეიზმის დროს, რომელმაც დიდი გავრცელება ჰპოვა ძველ საბერძნეთსა და რომში, სიცოცხლეს ანიჭებდნენ “ფიქტიურ არსებებს”, რომელთა ჩარევითაც ხსნიდნენ ყველა მოვლენას,

მონოთეიზმის ეპოქა – ესაა ქრისტიანობის ეპოქა, ერთი ღმერთის რელიგია ცვლის – გარდაქმნის სამყაროს სახეს, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ურთიერთობებს, ჩვეულებებსა და მორალს.

მეტაფიზიკური სტადია, რომელიც 1300-1800 წლებს მოიცავს კონტს ეჩვენებოდა გარდამავალ პერიოდად, რომლისთვისაც დამახასიათებელია ძველ რწმენათა საზოგადოებრივი წესრიგის ფუნდამენტის – დაშლა – განადგურება, რეფორმაცია, განმანათლებლობის ფილოსოფია, რევოლუცია (“მეტაფიზიკოსებისა და სამართალმცოდნეების პოლიტიკური ტრიუმფი”) – ასეთია ამ ეპოქის უმნიშვნელოვანესი ხდომილებანი. “ნეგატიურმა”, კრიტიკულმა ფილოსოფიამ გამოიწვია ყველა ავტორიტეტის, გაბატონებული კლასების ძალაუფლების, რელიგიის დაცემა. ამ ეპოქაში დაბადებულმა “მეტაფიზიკურმა გონმა” სანქციები მისცა ფილოსოფიურ ეჭვებს, მორალურ სიმახინჯეს და პოლიტიკურ არეულობასა და უწესრიგობას. თანამედროვე საზოგადოება, რომელიც ჩაძირულია ანარქიაში, განიცდის ახალი იდეოლოგიის

მოთხოვნებს, რომელიც შეცვლის ყალბ, ფიქტიურ დოკტრინებს და შეასრულებს მაინტრიგებელ საზოგადოებრივ როლს.

იმის დასტურად, რომ საზოგადოება თანდათანობით შედის უკანასკნელ პოზიციურ ეპოქაში, გვევლინება მეცნიერებათა ფართოდ გავრცელება, მათი საზოგადოებრივი მნიშვნელობის ზრდა და პოზიტივიზმის თეორიის შექმნა. სამრეწველო წყობა ცვლის სამხედრო წყობას, რომელიც დამახასიათებელი იყო თეოლოგიური ეპოქისათვის, ცხოვრებისა და სიცოცხლის ყველა ელემენტთა ჰარმონიული და თანაბარი განვითარება გარანტიას იძლევა რომ მეცნიერული აღმოჩენები გამოყენებულ იქნება მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ. პოზიტიური ეპოქის დამახასიათებელი ნიშნებია: ეგოიზმზე ალტრუიზმის გამარჯვება. სოციალურ გრძნობათა ზრდა, მატერიალური კულტურის სწრაფი ზრდა, რომელიც უზრუნველყოფს ყველაზე უფრო იოლ და სასიამოვნო ცხოვრებას, სამართლიანობას და მშვიდობას.

ჰერბერტ სპენსერი (1820-1903) – ფუნქციონალისტური სოციოლოგიის წარმოშობა

შინაარსი

1. ჰერბერტ სპენსერი: ცხოვრებისა და შემოქმედების ეტაპები;
2. იდეური წყაროები;
3. სოციოლოგიის საგანი
4. ორგანიცზმი და ევოლუციონიზმი.
5. საზოგადოება და მისი ტიპები
6. ფუნქციონალიზმის სათავეებთან
7. სახელმწიფო და პიროვნება

ჰერბერტ სპენსერის სოციოლოგია.

I. ჰ. სპენსერი პიროვნება და მეცნიერი. სპენსერი და მისი დრო

ა) XIX-ის 60-იანი წლებიდან იწყებს მისი დროის ყველა თეორიული მეცნიერების გამაერთიანებელი ფილოსოფიის შექმნას. „ძირითადი საწყისები“, „ბიოლოგიის საფუძვლები“, „ფსიქოლოგიის“, „სოციოლოგიის“ საწყისები.

ბ) იდეური წყაროები:

1. ბუნებისმეცნიერების ის დარგები სადაც მუშაობდა განათლების იდეა, დარვინი, ლამარკი,
2. მალთუსისა და ადამ სმულის შრომები.

3. ინგლისელი უტილიტასისტები, ი. ბენცამის ინდივიდუალიზმი. თავისუფალი მეწარმეობის პრინციპი, ინდივიდუალურ მოქმედებათა თავისუფლება, კონკურენცია, ყველაზე შეგუებულთა გადარჩენა – ძირითადია საზოგადოების განვითარებისათვის.

4. კონტისადმი დამოკიდებულება – აღნიშნავს მის პრიორიტეტს სოციოლოგიისა და ბიოლოგიის ურთიერთკავშირის კვლევაში, მაგრამ მისთვის უცხოა კონტის მესიანიზმი, სამი სტადიის კანონი, სულიერი განვითარებიდან სოციალური განვითარების გამოყვანა. სპენსერი უარყოფს პროგრესის სწორხაზობრიობას და ერთიანობას.

II. სოციოლოგიის საგანი. სოციოლოგია როგორც ობიექტური მეცნიერება შესაძლებელია:

1. „ბუნებრივი მიზეზობრიობის“ უზოგადესი კანონის არსებობის გამო, რომელიც საზოგადოებაშიც ისე მოქმედებს, როგორც ბუნებაში.

2. ყოველი მოვლენის ელემენტებისა და სტრუქტურის კანონზომიერი კავშირის არსებობის გამო.

ისტორია და სოციოლოგია. ისტორია = ბიოლოგიას, მაშინ როდესაც სოციოლოგია სოციალური ორგანიზმის არსებობისა და განვითარების პირობებს სწავლობს. მისი „სოციოლოგიის საფუძვლები“ არის ეთნოგრაფიულ მასალაზე მთლიანი სოციოლოგიური სისტემის აგების პირველი ცდა. რუბრიკაში „სოციოლოგიის მონაცემები“ – გადმოცემულია პირველყოფილ ადამიანთა ფიზიკური და ემოციონალური, ინტელექტუალური და რელიგიური ცხოვრების რეკონსტრუქციის ცდაზე, მათი ძირითადი იდეებისა და წარმოდგენების გამორკვევის ცდა. „სოციოლოგიის ინდექსებში“, მოცემულია საზოგადოების ზოგადი თეორია: გაანალიზებულია საზოგადოების, სოციალური ზრდის, სოციალური სტრუქტურის, სოციალური ფუნქციების, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სისტემათა და ორგანოთა ცნებები. ხოლო „სოციოლოგიის საფუძვლების“ მეორე ტომში უზარმაზარ ეთნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით განხილულია:

1. ოჯახურ ურთიერთობათა

2. ადამ-წესების (მათ შორის ჩვეულებების)

3. პოლიტიკური ინსტიტუტების (სახელმწიფო, სასამართლო, საკუთრება, საზოგადოებათა ტიპები, რელიგიური დაწესებულებების, სამრეწველო ინსტიტუტების) ევოლიცია. ამგვარად, სოციოლოგია მოიცავს ანთროპოლოგიას, ეთნოგრაფიას და ისტორიული განვითარების ზოგად თეორიას.

III. ორგანიციზმი და ევოლუციონიზმი. სპენსერის სოციოლოგია ეყრდნობა ორ მთავარ პრინციპს: საზოგადოების როგორც ორგანიზმის გაგებას და სოციალური ევოლუციის იდეას. პირველი დაკავშირებულია სოციალური მთელის ერთიანობის გააზრების აუცილებლობასთან. წარმოდგენს თუ არა საზოგადოება რეალურ „არსებას“ თუ იგი მხოლოდ კრებითი სახელია რამდენიმე ინდივიდის აღსანიშნავად, რომელსაც მხოლოდ ნომინალური არსებობა აქვს? იგი თვლის, რომ საზოგადოებას აქვს განსაკუთრებული სახის ყოფიერება, რომელიც რეალურად არსებობს. მართალია საზოგადოება შედგება ერთეულებისაგან, მთელი თაობებისა და მრავალი საუკუნის მანძილზე, ამ ერთეულთა გაერთიანება – დაჯგუფებაში საერთო მსგავსების მუდმივი შენარჩუნება ამ საზოგადოების მიერ დაკავებული ადგილის ფარგლებში მიუთითებს მათ მიერ შედგენილი აგრეგატის გარკვეულ კონკრეტულობაზე. სწორე დეს

თვისება და ნიშანი გვაძლევს იდეას საზოგადოების შესახებ. ჩვენ საზოგადოებას ვუწოდებთ მხოლოდ ისეთ გაერთიანებას, სადაც ბინადარმა ცხოვრებამ მიგვიყვანა საზოგადოების შიგნით მის შემადგენელ ნაწილთა განაწილების მუდმივობასთან“. საზოგადოება „რეალური საგანია“, მაგრამ არა არაორგანული აგრეგატი, არამედ ორგანული მთელის მსგავსია, რომელიც რთული და დინამიურია. ამიტომ სოციალური აგრეგატის გასაგებას სწორედ რომ ორგანიზმი გამოგვადგება. საზოგადოება არის ორგანიზმი.

მსგავსება საზოგადოებასა ანუ სოციალურ ორგანიზმსა და ბიოლოგიურ ორგანიზმს შორის:

1. საზოგადოება თავისი არსებობის დიდი ხნის განმავლობაში ისე იზრდება, ფართოვდება როგორც ორგანიზმი.
2. საზოგადოების ზრდის კვალობაზე მისი სტრუქტურაც ისევე რთულდება როგორც ბუნებრივი ევოლუციის პროცესში ორგანიზმის სტრუქტურა.
3. როგორც ბიოლოგიურ ისე სოციალურ ორგანიზმში სტრუქტურათა დიფერენციაციას თან ყვება ფუნქციათა ანალოგიური დიფერენციაცია.
4. ევოლუციის პროცესში ბიოლოგიურ და სოციალურ ორგანიზმების სტრუქტურისა და ფუნქციების დიფერენციაციას მოყვება მათი ურთიერთქმედების განვითარებაც.
5. ანალოგია საზოგადოებასა და ორგანიზმს შორის შეიძლება შევაბრუნოთ – ყოველი ორგანიზმი არის საზოგადოება.

6. საზოგადოებაში ისევე როგორც ორგანიზმში, მაშინაც კი როდესაც მისი მთლიანობა დარღვეულია – მკვდარია – მათ შემადგენელ ცალკეულ ნაწილებს შეუძლიათ არსებობის გაგრძელება, გარკვეული დროით მაინც – ამიტომ საზოგადოება შეგვიძლია განვიხილოთ ორგანიზმის ანალოგიურად. მაგრამ მათ შორის არსებითი განსხვავებაცაა:

1. ბიოლოგიური ორგანიზმებისაგან განსხვავებით, რომელთა შემადგენელი ნაწილები წარმოქმნიან კონკრეტულ მთელს, რომლის ყველა ელემენტი მჭიდროდ და განუწყვეტლად ერთმანეთთან დაკავშირებული, მაშინ საზოგადოება დისკრეტული მთელია, რომლის ელემენტები მეტ-ნაკლებად თავისუფალნი და გაფანტულნი არიან.
2. ინდივიდუალურ ორგანიზმში ფუნქციათა დიფერენციაცია ისეთია, რომ გრძნობისა და აზროვნების უნარი თავმოყრილია მხოლოდ მის განსაზღვრულ ნაწილებში, მაშინ როდესაც საზოგადოებაში ცნობიერება მოფრქვეულია მთელ აგრეგატში, ყველა მის ერთეულს შეუძლია განიცადოს განცხრომა და ტანჯვა თუ ერთნაირი ხარისხით არა, მაშინ დაახლოებით ერთნაირად მაინც.
3. ცოცხალ ორგანიზმში ელემენტები არსებობენ მთელის გულისათვის, საზოგადოებაში კი პირიქით, საზოგადოება არსებობს თავისი წევრების კეთილდღეობისათვის. კონტიდან განსხვავებით, რომლის აზრითაც ინდივიდი საზოგადოების დამოუკიდებელი უჯრედიც კი არ არის და მასშია გათქვეფილი, სპენსერისათვის პირიქით, საზოგადოება ინდივიდთა მხოლოდ აგრეგატია. მასში ინდივიდის გათქვეფა დაუშვებელია. ამიტომ საზოგადოება „ზეორგანიზმია“.

ყოველ განვითარებულ საზოგადოებას აქვს ორგანოთა სამი სისტემა:

1. მხარდამჭერ-შემანარჩუნებელი – აწარმოებს აუცილებელ საარსებო საშუალებებს.

2. გამანაწილებელი – შრომის დანაწილების საფუძველზე უზრუნველყოფს სოციალური ორგანიზმის სხვადასხვა ნაწილთა კავშირს.

3. მარეგულირებელი – სახელმწიფოს სახით უზრუნველყოფს შემადგენელი ნაწილების მთელისადმი დაქვემდებარებასა და მორჩილებას.

საზოგადოების სპეციფიკური ნაწილებია დაწესებულება – ინსტიტუტები: საოჯახო, ადათობრივი, პოლიტიკური, საეკლესიო, პროფესიონალური და სამრეწველო. თითოეული მათგანი განიცდის ევოლუციას, მაგრამ როგორია ამ ევოლუციის კანონები? არსებობს ერთი ევოლუცია, რომელიც ყველგან ერთნაირად მოქმედებს.

განვითარება, ევოლუციის ყველა პროცესი მოიცავს ორ მხარეს: ინტეგრაციას და დიფერენციაციას. იგი იწყება საზოგადოებრივი ორგანიზმის რაოდენობრივი ზრდისაგან, მისი შემადგენელი ელემენტების რაოდენობის ან მოცულობის გაფართოებისაგან. ასეთ ზრდას აუცილებლად მოყვება მთელი სოციალური ორგანიზმის ფუნქციონალური და სტრუქტურული დიფერენციაციის პროცესი. პრიმიტიულ საზოგადოებაში მათი ნაწილები და ფუნქციები სუსტადაა დიფერენცირებული და ერთმანეთის მსგავსია. აქ ერთსა და იმავე სტრუქტურას შეუძლია შეასრულოს რამდენიმე ფუნქცია და რამდენიმე სტრუქტურას კი ერთი ფუნქცია. საზოგადოების ზრდის კვალობაზე ეს ერთფეროვნება (ჰომოგენობა) მრავალფეროვნებაზე (ჰეტეროგენობაზე) გადადის და რაც უფრო მრავალფეროვანი და დიფერენცირებულია საზოგადოების სტრუქტურები და ფუნქციები, მით უფრო განვითარებულია იგი. ამგვარად, შრომის დანაწილება არის განვითარების საყოველთაო მექანიზმი. ფუნქციათა დიფერენციაცია იწვევს მმართველი მექანიზმის არსებობის აუცილებლობას, რომელსაც უნარი ექნება უზრუნველყოს კერძო სტრუქტურათა შეთანხმებული მოქმედება. აქედან კი თვით მართვის პროცესთა გართულება და დიფერენციაცია. მას ემატება რელიგიურ და ადამიანთა ძალაუფლებაც.

საზოგადოების ტიპოლოგიზაცია. სპენსერი კონტთან ერთად ერთ-ერთი პირველი მოაზროვნეა სოციოლოგიის ისტორიაში, რომელმაც საზოგადოების ორ ტიპად დაყოფა განახორციელა: **სამხედრო და სამრეწველო საზოგადოებათა** სახით.

სამხედრო ტიპის საზოგადოებაში „მთავრობის ეთიკა ომის ეთიკის იგივეობრივია“. ეს ნიშნავს, რომ საზოგადოება უიგივდება ჯარს, რომლის ნაწილი მოქმედია და ნაწილი უმოქმედო. მასში „ჯარი მობილიზებული საზოგადოებაა, ხოლო საზოგადოება ჯარია, რომელიც ისვენებს“.

– სამხედრო საზოგადოების ძირეული ნიშანია – ძალადობა. საყოველთაო სამხედრო ნაგებობაზე მიმთითებელი ნიშანია ერთეულთა განსხვავებულ მოქმედებათა წარმართვა ძალადობის გზით. სამხედრო საზოგადოებათა პოლიტიკის საფუძველია მტრობა. როგორც საგარეო ისე საშინაო პოლიტიკის საფუძველია – ძალადობა. ის კარგად იცავს საგარეო მტრებისაგან საზოგადოებას, მაგრამ ცუდად ასრულებს ქვეყნის შიგნით ადამიანთა უფლებების უზრუნველყოფის ფუნქციას, რადგან თავისუფლება ძალადობით არ მიიღწევა ამ ეტაპის საზოგადოება ინდივიდის თავისუფლებას სპობს დამ ას ცვლის

მონობით, აქ ინდივიდი საშუალებაა სახელმწიფოს და საზოგადოების კეთილდღეობისა და მიზნების განხორციელების გზაზე.

– საზოგადოების მეორე ეტაპია სამრეწველო საზოგადოება. იგი სამხედროს საპირისპიროა, რამდენადაც მასში ინდივიდი საშუალებაა არა სახელმწიფოსა და საზოგადოების ხელში, არამედ მიზანია. ხოლო სახელმწიფო და საზოგადოება საშუალებებია. ისინი არსებობენ ინდივიდის კეთილდღეობისათვის. სამხედრო საზოგადოებაში სიცოცხლე საშუალებაა, მიზანია შრომა. სამოქალაქო საზოგადოებაში შრომა საშუალებაა, სიცოცხლე კი მიზანი, რომელსაც ეს საშუალება უზრუნველყოფს.

კოოპერაცია. თუ კოოპერაციის ცნებას გამოვიყენებთ ფართო აზრით, როგორც ყველა მოქალაქის ერთობლივ მისწრაფებებს, მაშინ ეს რეჟიმი შეიძლება შემდეგნაირად განისაზღვროს. ერთია ძალისმიერი კოოპერაციის, მეორე ნებაყოფლობითი კოოპერაციის სისტემა.

კარლ მარქსის სოციოლოგია

შინაარსი

1. კ. მარქსი: პიროვნება, მეცნიერი და რევოლუციონერი
2. მარქსიზმი, მარქსიზმები და მარქსის სოციოლოგია
3. იდეურ-თეორიული წყაროები
4. ფილოსოფიური ანთროპოლოგია. ადამიანი და საზოგადოება
5. ისტორიის მატერიალისტური გაგება
6. მეთოდოლოგია
7. სოციალურ სისტემათა თეორია
8. სოციალური განვითარების თეორია. სოციალური რევოლუცია
9. კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის თეორია

10. შემეცნების სოციოლოგია

11. დასკვნა

საკვანძო სიტყვები და გამოთქმები

შრომა, გაუცხოება, ისტორიის მატერიალისტური გაგება, საზოგადოებრივი ყოფიერება და ცნობიერება, წარმოების წესი, საწარმოო ძალები და წარმოებითი ურთიერთობანი, ბაზისი და ზედნაშენი, საზოგადოებრივი ფორმაციები, სოციალური რევოლუცია, კლასები და კლასობრივი ბრძოლა, იდეოლოგია.

იდეურ-თეორიული წყაროები

არსებობს ცნობილი წარმოდგენა იმის შესახებ, რომ მარქსიზმის წყაროებია: გერმანული კლასიკური ფილოსოფია, ინგლისური პოლიტიკური ეკონომია და ფრანგული უტოპიური სოციალიზმი, გარდა ამისა, თვითონ მარქსი თავის იდეურ წყაროდ აღიარებდა მე-17-18 საუკუნეების ინგლისურ და ფრანგულ მატერიალიზმს. მარქსიზმის ეს გენეალოგია უკამათოა, მაგრამ აუცილებელია მათ დაემატოს ის წყაროები, რომლებიც შედიოდნენ, რომლებიც შედიოდნენ ცოდნის სხვა სფეროებში და აგრეთვე ისინიც, რომელთაც მარქსი თვითონ არ აღიარებდა. გარდა ამისა ეს გენეალოგია საჭიროებს დაზუსტებას.

კერძოდ, როდესაც ბჭობა ეხება გერმანულ კლასიკურ ფილოსოფიას, საჭიროა ხაზი გაესვას მისი ორი წარმომადგენლის ჰეგელისა და ფოერბახის გავლენას. ყველაზე მეტი გავლენა მარქსზე ჰეგელმა იქონია, როგორც მეცნიერული მეთოდის სტილზე, ისე სოციოლოგიური აზროვნების სტილზეც, განსაკუთრებით მის წარმოდგენაზე ობიექტური სოციალური კანონების შესახებ, რომლებიც გზას იკვლევს ცალკეულ ადამიანთა სურვილებისა და ინტერესების მეშვეობით. მის იდეაზე პროგრესული განვითარების, როგორც წინააღმდეგობრივი პროცესის შესახებ, რომელი წინააღმდეგობაც იჭრება დიალექტიკურ სინთეზში (ჰეგელიანური ტრიადის „თეზისი-ანტითეზისი-სინთეზი“ თანახმად). გარდა ამისა, ჰეგელმა გავლენა იქონია მარქსის პირად ხასიათზე, და ბოლოს, გაუცხოების მარქსისეულ თეორიაზე. ასევე გავლენა იქონია ფოიერბახმა გაუცხოების პრობლემის დამუშავებაზე იმით, რომ მარქსმა მათგან უკრიტიკოდ აიღო. თავის აზრებს იგი მათთან მუდმივ პოლემიკაში აყალიბებდა.

სოციალისტებიდან, რომლებმაც ყველაზე დიდი გავლენა იქონიეს მარქსის, როგორც სოციოლოგიურ, ისე პოლიტიკურ-უტოპიურ შეხედულებებზე, აღსანიშნავია სენ-სიმონი. სოციოლოგიური ასპექტით მან დიდი გავლენა მოახდინა მარქსის მიერ 1) „ინდუსტრიის“ (ე.ი. სენ-სიმონის მიხედვით წარმოება ფართო აზრით) როლის შეფასებაზე; 2) საკუთრების ფორმისა და კლასების, განსაკუთრებით პროლეტარიატის მნიშვნელობის შეფასებაზე; 3) რევოლუციურ მოძრაობათა („კრიტიკული ეპოქების“ – სენ-სიმონი) მნიშვნელობათა შეფასებაზე. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ სენ-სიმონის გავლენა მარქსზე უფრო ადრინდელია, ვიდრე ჰეგელის. სენ-სიმონისტების გავლენა გერმანიაში ძალიან დიდი იყო, კერძოდ, სენ-

სიმონიზმის პროპაგანდისტი იყო მარქსის მეგობარი მოზეს ჰესი, რომელსაც უწოდებდნენ „გერმანული სოციალიზმის მამას“. (თუმცა საბოლოოდ მარქსს გაუფუჭდა მასთან ურთიერთობა).

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მარქსის იდეალები ჩამოყალიბდა უფრო ადრე, ვიდრე იგი ყურადღებას გაამახვილებდა მეცნიერულ ძიებებზე. მეცნიერებამ კი არ მიიყვანა იგი კომუნიზმის იდეალთან, არამედ პირიქით, მასში უკვე მტკიცედ ჩამოყალიბებულ და ცნობიერებაში განმტკიცებულ კომუნისტური იდეალისადმი იგი ცდილობდა დაეკებნა მეცნიერული დასაბუთება. მოაზეს ჰესის (1812-1875) გავლენა მარქსზე საკმაოდ დიდი იყო და ატარებდა მრავალმხრივ ხასიათს, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ჰესმა, რომელიც მარქსთან ერთად მონაწილეობდა ახალგაზრდა ჰეგელიანელთა წრეში, მარქსში დაინახა კაცობრიობის უდიდესი ფილოსოფოსი. ჰესმა პირველმა შეაერთა სოციალიზმი ჰეგელის ფილოსოფიასთან. ჰესის მიხედვით სოციალიზმის იდეალი ადამიანის სოციალური არსების რეალიზაციაა..

ფილოსოფიური ანთროპოლოგია. ადამიანი და საზოგადოება

ყოველი რამდენადმე მასშტაბური მოძღვრება საზოგადოებაზე მუდამ გულისხმობს ადამიანის არსებისა და სამყაროში მისი ადგილის შესახებ თეორიას. სხვა სიტყვებით თეორიულ სოციოლოგიას ყოველთვის ემეზობლება განსაზღვრული ფილოსოფიური ანთროპოლოგია. ასე იყო მარქსთანაც.

მარქსის თანახმად, ადამიანი უწინარეს ყოვლისა, homo faber-ია ანუ მწარმოებელი ადამიანია. მწარმოებლური შრომა – აი რა განასხვავებს ადამიანს ცხოველისაგან. ადამიანი ცხოველისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი კი არ ეგუება გარემომცველ სამყაროს, არამედ იგუებს მას. ამასთან ერთად, ამ სტიქიათა დაუფლების ზომის შესაბამისად, თვითონ ადამიანების მიერ შექმნილი საწარმოო ძალები და წარმოებითი ურთიერთობანი, სულ უფრო უპირისპიდეობან მას გარეგანი მტრული ძალების სახით. ხდება ადამიანის გაუცხოება, მის მიერვე შექმნილი არსებებიდან. ადამიანი აღმოჩნდება გაუცხოებული თავისი შრომის შედეგებისგან, შრომის პროცესისაგან, საზოგადოებისა და საკუთარი თავისგანაც კი. მხოლოდ მომავალ კომუნისტურ საზოგადოებაში, როდესაც დასრულდება კაცობრიობის „წინაისტორია–პრეისტორია“ და დაიწყება მისი „ნამდვილი“ ისტორია, როდესაც კაცობრიობა „აუცილებლობის სამეფოდან“ გადავა „თავისუფლების სამეფოში“.

მარქსი აყალიბებს თეზისს ადამიანის სოციალური არსების შესახებ და მიმართავს მის შესწავლას. ერთ-ერთი ცნობილი თეზისი მისი „თეზისებიდან ფოიერბახის შესახებ“ გვაუწყებს: „... . ადამიანის არსება არ არის აბსტრაქტი, რომელიც ცალკეულ ადამიანს ახასიათებს. სინამდვილეში იგი არის ყველა საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობა“. (ტ. 3, გვ.3 მარქსის ინტერპრეტაციით საზოგადოება წარმოადგენს ინდივიდებს შორის კავშირებისა და ურთიერთდამოკიდებულებათა სისტემას, რომელიც ყალიბდება საქმიანობის პროცესში. უწინარეს ყოვლისა კი, შრომითი საქმიანობის პროცესში. „საზოგადოება არ შედგება ინდივიდებისაგან, არამედ გამოხატავს იმ კავშირთა და

ურთიერთობათა ჯამს, რომელშიც იმყოფებიან ეს ინდივიდები ერთმანეთთან“, – წერდა იგი. მისი გაგებით, საზოგადოება ესაა „ადამიანთა ურთიერთქმედების პროდუქტი“, ამავე დროს ადამიანები არ არიან თავისუფალნი ამა თუ იმ საზოგადოებრივი ფორმის არჩევანში.

სოციალურობა, მარქსის მიხედვით, ვლინდება არა მხოლოდ უშუალო „კოლექტიურობის“ ფორმით, როდესაც ინდივიდი სხვა ინდივიდებთან პირისპირ ურთიერთქმედებაშია. საზოგადოება არსებობს ადამიანში მასზე გავლენას ახდენს მაშინაც კი, როდესაც ინდივიდი მარტოა, თავის თავთან იმყოფება.

როგორც ესქილესა და შექსპირის თაყვანისმცემელს, მარქსს ისტორიული პროცესი წარმოდგენილი ჰქონდა დრამის სახით, რომელშიც ადამიანები ერთდროულად არიან, როგორც ამ დრამის ავტორები, ისე შემსრულებლები – მსახიობები. ადამიანები, პრაქტიკულად მოქმედი არსებებია, ამიტომ სწორედ ისინი ქმნიან სოციალურ სისტემებს. მაგრამ ქმნიან ისინი ამ სისტემებს განსაზღვრულ სოციალურ და ბუნებრივ პირობებში, რომლებიც მათ გარეშე წარმოიშენენ, მათი მონაწილეობის გარეშე წარმოიქმნენ: „ადამიანები თვითონ ქმნიან თავიანთ ისტორიას, მაგრამ ისინი ამას აკეთებენ არა ისე, როგორც მათ მოესურვებათ, არამედ პირობებში, რომლებიც თვითონ მათ არ აურჩევიათ, რომლებიც უშუალოდ და რეალურად არსებობენ, მოცემულია მათთვის და წარსულიდანაა გადმოსულნი“ [წერილი ანენკოვს 1846 წ. 28 დეკემბერი. ტ. 8, გვ.119].

მარქსის მიხედვით, პიროვნება სოციალურ-ისტორიული განვითარების ამოსავალი-საწყისი პუნქტი კი არაა, არამედ მისი რეზულტატი. ინდივიდის ცნობიერებისა და ქცევის სოციალური განპირობებულობის ხაზგასმისას, მარქსი პიროვნების განვითარებას განიხილავს, როგორც საზოგადოებრივი განვითარების უმაღლეს მიზანს, რომელიც მიიღწევა მხოლოდ საზოგადოებრივი ურთიერთობების რადიკალური გარდაქმნის შემდეგ.

ისტორიის მატერიალისტური გაგება

რა არის ისტორიის მატერიალისტური გაგება თვითონ მარქსის განმარტებით?

ამ გაგების არსი გადმოცემულია მარქსის ცნობილ წინასიტყვაობაში, რომელიც მან წაუშმძვარა შრომას „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“: „თავიანთი ცხოვრების საზოგადოებრივი წარმოებისას, ადამიანები ერთმანეთთან ამყარებენ, განსაზღვრულ, აუცილებელ, მათი ნებისაგან დამოუკიდებელ ურთიერთობას“, – წარმოებით ურთიერთობას, რომელიც მათ მატერიალურ მწარმოებლურ ძალათა განვითარების განსაზღვრულ საფეხურს შეესაბამება. ამ წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობა შეადგენს საზოგადოების ეკონომიურ სტრუქტურას, რეალურ ბაზისს, რომელზედაც იურიდიული და პოლიტიკური ზედნაშენი აღიმართება და რომელსაც საზოგადოებრივი ცნობიერების განსაზღვრული ფორმები შეესაბამება. მატერიალური ცხოვრების წარმოების წესი განაპირობებს საერთოდ ცხოვრების სოციალურ, პოლიტიკურ და გონებრივ პროცესს. ადამიანთა ცნობიერება კი არ განსაზღვრავს მათს ყოფიერებას, არამედ პირიქით, მათი განვითარების

განსაზღვრულ საფეხურზე საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს მათს ცნობიერებას. საზოგადოების მატერიალური ძალები ვარდებიან წინააღმდეგობაში არსებულ წარმოებით ურთიერთობასთან, ანუ რაც მის მხოლოდ იურიდიულ გამოხატულებას წარმოადგენს, – საკუთრების ურთიერთობასან, რომლის შიგნითაც ისინი აქამდე ვითარდებოდნენ. მწარმოებლურ ძალთა განვითარების ფორმიდან ეს ურთიერთობა მათ ბორკილად იქცევა. მაშინ ღებება სოციალური რევოლუციის ეპოქა. ეკონომიური საფუძვლის ცვლილებასთან ერთად მთელი უზარმაზარი ზედნაშენიც მეტი თუ ნაკლები სისწრაფით გადატრიალდება. ამგვარ გადატრიალებათა განხილვისას წარმოების ეკონომიკურ პირობებში მომხდარი მატერიალური გადატრიალება, რომლის დადგენაც ბუნებისმეცნიერული სიზუსტით არის შესაძლებელი, ყოველთვის უნდა განვასხვავოთ იმ იურიდიული, პოლიტიკური, რელიგიური, ხელოვნებითი ან ფილოსოფიური, მოკლედ: იდეოლოგიური ფორმებისაგან, რომლებითაც ადამიანები შეიცნობენ ამ კონფლიქტს და იბრძვიან მის გადასაწყვეტად. როგორც არ შეიძლება ამა თუ იმ ინდივიდის შესახებ ვიმსჯელოთ საკუთარი თავის შესახებ წარმოდგენებით, ასევე არ შეიძლება ამგვარი გადატრიალების ეპოქის შესახებ ვიმსჯელოთ მისი ცნობიერების მიხედვით, პირიქით, ეს ცნობიერება უნდა ავსხნათ მატერიალური ცხოვრების წინააღმდეგობით, არსებული კონფლიქტით საზოგადოებრივ მწარმოებლურ ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა შორის. არც ერთი საზოგადოებრივი ფორმაცია არ ისპობა მანმადე, ვიდრე არ განვითარებულა ყველა მწარმოებლური ძალა, რომლისთვისაც იგი საკმაო გასაქანს იძლევა და ახალი უმაღლესი წარმოებითი ურთიერთობანი არასოდეს არ იჭერენ იმათ ადგილს, სანამ მათი არსებობის მატერიალური პირობები თვით ძველი საზოგადოების წიაღში არ მომწიფდება“. (კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები ტ.1, გვ. 624-625. თბილისი 1975).

მეთოდოლოგია

როგორც კონტი, ისე მარქსიც თვლის, რომ სოციალური განვითარება მიმდინარეობს განსაზღვრული კანონებით. კანონი მას ესმის, როგორც მოვლენებს შორის „შინაგანი და აუცილებელი კავშირი“. მარქსისთვის კანონები უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე სოციალურ ფაქტებს შორის ზოგიერთი ერთგვარი მარტივი, მიმართების არსებობაა, როდესაც განსაზღვრული პირობებისას ფაქტთა ერთი წყება გვევლინება, როგორც ფაქტთა მეორე წყების მიზეზი. ჰეგელისა და კონტის მსგავსად, მასაც სწამს უნივერსალური და უცვლელი ისტორიული კანონების არსებობა, რომელთა მიხედვითაც ვითარდება მთელი კაცობრიობა. მას სწამს ისტორიული აუცილებლობა, რომელიც გზას იკვლევს მრავალრიცხოვან შემთხვევითობათა მეშვეობით. როგორც კონტი, მარქსიც ევოლუციონისტია. იგი თვლის, რომ ყველა საზოგადოება ადრე თუ გვიან თავიანთი განვითარების მანძილზე ერთსა და იმავე სტადიებს გადიან. სოციალური მეცნიერების ამოცანაა, გამოიკვლიოს საზოგადოება მისი პროგრესული განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე.

მარქსთან ჩვენ ვხვდებით ორ დაპირისპირებულ მეთოდოლოგიურ ტენდენციას: ბუნებისმეცნიერულს, რომელიც დამახასიათებელია პოზიტივიზმისათვის, როგორც მეცნიერების იდეოლოგიისათვის და მის საპირისპიროს, რომელიც ხაზს უსვამს სოციოლოგიური ცოდნის სპეციფიკას, მის განსხვავებას ბუნებისმეცნიერების მეთოდებისა და რეზულტატებისაგან. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ XIX-ის სოციოლოგიური აზრის ორი დაპირისპირებული ტრადიცია: „ბუნებისმეცნიერული“ და „ჰუმანისტური“, „ამსხნელი“ და „გაგებითი“ – ორივენი მიმართავენ მარქსს, როგორც ერთ-ერთ მათ დამწვებთაგანს.

ზოგადმეცნიერული მეთოდის სახით მარქსი იყენებს აბსტრაქტულიდან კონკრეტულსაკენ აღმასვლის მეთოდს. ეს მეთოდი შედგება შემეცნების სამსაფეხურიანი წესისაგან:

- 1) ობიექტის ემპირიული გამოკვლევა, რომელიც „გრძნობად კონკრეტულს“ წარმოადგენს;
- 2) „გრძნობად კონკრეტულს“ საფუძველზე ობიექტის შესახებ აბსტრაქტული წარმოდგენების შექმნა /თეორიული დონე/;
- 3) ობიექტის შესახებ სრული, მთლიანი წარმოდგენების მიღება, რომელსაც „გრძნობად კონკრეტული“, გაივლის რა თეორიულ გააზრებას, გადაიქცევა „აზრობრივ კონკრეტულად“. (იქვე გვ. 37)

მარქსი ჯერ კიდევ დიდ ხნით ადრე სტრუქტურული ფუნქციონალიზმის წარმოშობამდე აკეთებს პირველ ცდებს, კვლევის სტრუქტურულ-ფუნქციონალური მეთოდის გამოყენებაში, განიხილავს რა სხვადასხვა მოვლენებს განსაზღვრულ სოციალურ სისტემაში, მათი შეტანილი წვლილის თვალსაზრისით. გარდა ამისა, ჩვენ მის შრომებში ვპოულობთ ისტორიულ-გენეტიურ და შედარებით-ისტორიულ მეთოდებსაც.

სოციალურ სისტემათა თეორია

სოციოლოგიის ისტორიაში მარქსმა ერთ-ერთმა პირველმა დაამუშავა წარმოდგენა საზოგადოების, როგორც სისტემის შესახებ. ეს წარმოდგენა უწინარეს ყოვლისა, განხორციელებულია საზოგადოებრივი ფორმაციის მისეულ ცნებაში.

მარქსის მიხედვით საზოგადოებრივი ფორმაცია – ესაა სოციალური სისტემა, რომელიც შედგება ურთიერთდაკავშირებულ ელემენტებისაგან და იმყოფება არამდგრადი წონასწორობის მდგომარეობაში. ამ სისტემის სტრუქტურას აქვს შემდეგი სახე. მის საფუძველში ძევს მატერიალური დოვლათის წარმოების წესი, ე.ი. ეკონომიკური ქვესისტემა. მის აღსანიშნავად მარქსი ზოგჯერ იყენებს აგრეთვე ტერმინს „ეკონომიკური ფორმაცია“ და „ეკონომიკური საზოგადოებრივი ფორმულა“. წარმოების წესს ორი მხარე აქვს: საზოგადოების საწარმოო ძალები და წარმოებითი ურთიერთობანი.

საწარმოო ძალებს მიეკუთვნება საზოგადოების განკარგულებაში მყოფი ყველა რესურსი და საშუალება, რომლებიც უზრუნველყოფენ წარმოების პროცესს: წარმოებაში ჩართული ბუნებრივი და

ადამიანური რესურსები, წარმოების საშუალებები, მეცნიერების დონე და მისი ტექნოლოგიური გამოყენება და ა.შ. განსაკუთრებით მნიშვნელოვან ადგილს საწარმოო ძალებში იგი სენ-სიმონის კვლად მრეწველობას უთმობს, ამტკიცებს რა, რომ მრეწველობის მხრივ განვითარებულ ქვეყანას მისი საკუთარი მომავლის სურათს უჩვენებს.

წარმოების წესის მეორე მხარე, წარმოებითი ურთიერთობანი გამოიხატება მარქსის მიხედვით, ძირითადად წარმოების საშუალებებზე საკუთრების სხვადასხვა ფორმებში. დიდი მნიშვნელობა აქვს გვექონდეს მხედველობაში ის, რომ მარქსს ხშირად წარმოება გაგებული აქვს წარმოებული დოვლათის მოძრაობის (ზოგადი) საერო ციკლი, სადაც შედის საკუთრივ წარმოება, ანუ წარმოება ვიწრო აზრით, განაწილება, გაცვლა და მოხმარება. ამ ციკლის ყოველი ფაზა ასრულებს მნიშვნელოვან ფუნქციას, რომლის გარეშეც განვითარებულ სოციალურ სისტემებში წარმოების პროცესი შეუძლებელია. მარქსი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ამ ციკლის დამასრულებელ ფაზას – მოხმარებას. „წარმოების გარეშე არაა მომხმარება, მაგრამ მოხმარების გარეშეც არ არის წარმოება, რადგან ასეთ შემთხვევაში წარმოება მიზნის გარეშე დარჩებოდა“ – აღნიშნავს იგი და შემდეგ იგი უფრო აძლიერებს აქცენტს ამ აზრზე: „... . მხოლოდ მოხმარებაში იქცევა პროდუქტი ნამდვილ პროდუქტად. მაგალითად, კაბა ნამდვილ კაბად იქცევა მაშინ, როდესაც მას ატარებენ; სახლი, რომელშიც არ ცხოვრობენ არ არის ნამდვილი სახლი“. /ტ. 46. გვ.27/. ეს დებულება ფრიად მნიშვნელოვანია სწორედ სოციოლოგიური თვალსაზრისით, რადგან იგი ეხება არა მატერიალური დოვლათის წარმოებასა და მოძრაობა-გადაადგილების, არამედ საზოგადოებაში კომუნიკაციური ურთიერთქმედების ყველა პროცესს.

წარმოების წესის ორივე მხარე იმყოფება შესაბამისობასა და ურთიერთქმედების მდგომარეობაში. ამავე დროს წამყვან როლს თამაშობს საწარმოო ძალები.

მარქსის მიხედვით, წარმოების წესი შეადგენს სოციალური სისტემის მასისტმატიზირებელ, სისტემის წარმომქმნელ კომპონენტს, რომელიც განსაზღვრავს მის დანარჩენ ელემენტებს, კომპონენტებს. სწორედ წარმოების წესი ქმნის საზოგადოებრივი ფორმაციის თვისობრივ განსაზღვრულობას და ერთს განასხვავებს მეორისაგან. მაგრამ გარდა საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობებისა, რომლებიც შეადგენენ საზოგადოების „რეალურ ბაზისს“, სტრუქტურას, ფორმაცია ასევე შეიცავს ზედნაშენს ანუ სუპერსტრუქტურას. მასში მარქსი რთავს უწინარეს ყოვლისა, იურიდიულ და პოლიტიკურ ურთიერთობებსა და ინსტიტუტებს. (ისინი ყველაზე ახლოს იმყოფებიან ბაზისთან) და შემდეგ, უფრო ზუსტად „მაღლა“ – იმყოფებიან სოციალური ცხოვრების დანარჩენი სფეროები, რომლებიც, როგორც სამართალი და პოლიტიკა, განეკუთვნებიან „საზოგადოებრივი ცნობიერების“ ანუ „იდეოლოგიის“ სფეროებს: მორალი, მეცნიერება, რელიგია, ხელოვნება.

სოციალური განვითარების თეორია. სოციალური რევოლუცია

სოციალური განვითარების დინამიკა, მარქსის მიხედვით, განპირობებულია მუდმივად წარმოქმნილი წინააღმდეგობით, კონფლიქტით, რომელიც წარმოიშობა განვითარებაში მყოფ საწარმოო ძალებსა ერთის მხრივ და წარმოებით ურთიერთობებს შორის, მეორეს მხრივ. თავის მხრივ წარმოებითი ურთიერთობანიც (ბაზისი) მუდმივ კონფლიქტშია ზედნაშენთან და საზოგადოებაში ამ ბაზისის გაცნობიერების სხვადასხვა ფორმებთან. მთლიანობაში, საწარმოო ძალათა განვითარება, მარქსის მიხედვით, წარმოადგენს გარდაუვალ კანონს. როდესაც წარმოების წესის ორ მხარეს შორის არამყარი წონასწორობა ირღვევა და წარმოებითი ურთიერთობანი, საწარმოო ძალთა განვითარების საშუალებებიდან მათს დაბრკოლებად და მუხრუჭად იქცევა, ისინი რევოლუციური ცვლის საგანი ხდებიან. ერთდროულად ეს პროცესი გამოიხატება სოციალური სისტემის დანარჩენ კომპონენტთა შორის კოლიზიებსა და კონფლიქტებში: კლასობრივი, პოლიტიკური, იდეოლოგიური და ა.შ. ბრძოლის გამწვავებაში. რის შედეგადაც ხდება საზოგადოებრივი ფორმაციების გლობალური მასშტაბით ცვლა, ე.ი. სოციალური რევოლუცია. სოციალური და პოლიტიკური რეფორმები მარქსს წარმოუდგენია, როგორც ხელოვნური მუხრუჭი სოციალური განვითარებისა; გაბატონებული კლასების მხრიდან იძულებითი დათმობის და სიცრუის რეზულტატად ან დაჩაგრულ კლასთა სისუსტისა და გაუბედაობის შედეგად. საზოგადოების „წინაისტორიაში“, რომელიც აგებულია კერძო საკუთრებაზე და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციაზე, სოციალური განვითარების მისეული იდეალი – ესაა, „უწყვეტი – პერმანენტული რევოლუცია“, საზოგადოების მუდმივი გარევი რევოლუციონიზირება, „ნამდვილი“ ისტორიის – კომუნიზმის სწრაფად დასამყარებლად. ამ ოქროს საუკუნეში, პოლიტიკური რევოლუციები, მარქსის ერთ-ერთი წინასწარმეტყველების მიხედვით, უკვე აღარ იქნება „ნივთთა მხოლოდ ისეთი წესრიგის არსებობისას, როდესაც არ იქნება მეტად კლასები და კლასობრივი ანტაგონიზმი, სოციალური რევოლუციები აღარ იქნებიან პოლიტიკური რევოლუციები. მანამდე კი, საზოგადოების ყოველი საყოველთაო გარდაქმნის დასაწყისში სოციალური მეცნიერების უკანასკნელი სიტყვა მუდამ იქნება: „ბრძოლა ან სიკვდილი. სისხლიანი ბრძოლა ან არყოფნა ასეთია შეუბრალებელი დრამა“. (ქორჟ სანდი).

კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის თეორია

კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის თემა – ცენტრალურია მარქსთან. მისი როლი მის დოქტრინაში იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მარქსისტები ხშირად აიგივებენ „მარქსისტულ თვალსაზრისს“ „კლასობრივ თვალსაზრისთან“.

თვითონ მარქსი აღიარებდა, რომ კლასების არსებობა თანამედროვე საზოგადოებაში მას არ აღმოუჩენია, არც კლასობრივი ბრძოლა და არც ამ ბრძოლის ისტორიული განვითარება და „კლასთა ეკონომიკური ანატომია“. მარქსი ამბობდა: „ის რაც მე ახალი გავაკეთე, შემდგომში მდგომარეობს:

1. რომ კლასების არსებობა დაკავშირებულია მხოლოდ წარმოების განვითარების განსაზღვრულ ისტორიულ ფაზებთან;

2. რომ კლასობრივ ბრძოლას აუცილებლად მივყავართ პროლეტარიატის დიქტატურასთან, და

3. რომ ეს დიქტატურა მოასწავებს ყოველგვარ კლასთა გაქრობას და უკლასო საზოგადოებაზე გადასვლას“. /ტ.28. გვ.427/

ფართო აზრით, კლასები მარქსის მიხედვით, ესაა ნებისმიერი სოციალური ჯგუფები, რომლებიც არათანაბარ ურთიერთობაში იმყოფებიან ერთმანეთთან და იბრძვიან ერთმანეთს შორის. ამ აზრით, კლასები მოიცავენ წოდებებს და ნებისმიერ მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვან სოციალურ კატეგორიებს, რომლებიც განლაგებულია სოციალური კიბის სხვადასხვა საფეხურებზე. სწორედ ამ აზრით გამოიყენება კლასების ცნება „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“. „თავისუფალი და მონა, პატრიციები და პლებეები, მემამულე და ყმა, ხელოსანი და შეგირდი, მოკლედ მზავრელი და ჩაგრული იმყოფებიან ერთმანეთთან მუდმივ ანტაგონიზმში, აწარმოებდნენ ერთმანეთთან განუწყვეტელ, ხან ფარულ, ხან აშკარა ბრძოლას, რომელიც ყოველთვის სრულდებოდა მთელი საზოგადოებრივი შენობის რევოლუციური გარდაქმნით ან მებრძოლ კლასთა საერთო განადგურებით“.

მარქსს კლასების ქვეშ ესმის ისეთი სოციალური ჯგუფები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან წარმოების საშუალებებზე დამოკიდებულებით. რამდენადაც იგი საზოგადოების კლასობრივი დაყოფის საფუძველს წარმოებით ურთიერთობებში ხედავს, ამდენად კლასები გვევლინებიან ამ ურთიერთობათა გამოსატყულებად, წარმოების საშუალებებზე საკუთრების ფორმა, და რაც მთავარია, ამ საკუთრების არსებობა ან არაარსებობა გამოდის, როგორც კლასთა წარმოქმნის მთავარ კრიტერიუმად.

მაგრამ ეს კრიტერიუმები ჯერ კიდევ არასაკმარისია იმისათვის, რათა ვილაპარაკოთ კლასზე, როგორც ასეთზე ამ სიტყვის სრული აზრით. ესაა, ჯერ კიდევ „კლასი თავისთავად“. კლასი კი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მარქსის აზრით, ესაა – „კლასთა თავისთვის“, ე.ი. კლასი, რომელსაც გაცნობიერებული აქვს საკუთარი თავი, როგორც განსაკუთრებულ სოციალურ ჯგუფად თავისი საკუთარი ინტერესებით, და როგორც სხვა კალსებისადმი დაპირისპირებული. ისეთ ნიშნებთან ერთად, როგორებიცაა წარმოების საშუალებებისადმი დამოკიდებულება, ეკონომიკური მდგომარეობა და ა.შ. კლასობრივი თვითცნობიერებაც დიდ როლს ასრულებს კლასის, როგორც ასეთის გაგებაში.

ბრძოლა კლასებს შორის მარქსის მიხედვით, ესაა – საბოლოო ჯამში განვითარებად საწარმოო ძალებსა და მათგან ჩამორჩენილ წარმოებით ურთიერთობებს შორის ბრძოლის გამოსატყულება. განსაზღვრულ ისტორიულ პერიოდში ერთი კლასი („რეაქციული“) ახორციელებს მოძველებულ წარმოებით ურთიერთობებს, მეორე („პროგრესული“), ახალ ჩასახულ წარმოებით ურთიერთობებს რომლებიც შეესაბამებიან განვითარებად საწარმოო ძალებს ერთი და იგივე კლასი საზოგადოებრივი ფორმაციის განვითარების სხვადასხვა ეტაზე გვევლინება ჯერ პროგრესულად, ხოლო შემდეგ

რეაქციულად; მაგ. ბურჟუაზია, რომელიც კაპიტალისტური ფორმაციის ადრეულ სტადიაზე პროგრესული კლასი იყო, დამასრულებელ სტადიაზე რეაქციულ კლასად იქცევა.

პროლეტარიატი და ბურჟუაზია, მარქსის მიხედვით, უკანასკნელი ანტაგონისტური კლასებია. მომავალი კომუნისტური ფორმაცია, ესაა – უკლასო საზოგადოება. მისი დადგენისათვის, პროლეტარიატმა, რომლის ისტორიული მისიაა გაინთავისუფლოს თავი ბურჟუაზიული ექსპლოატაციისაგან და იმავდროულად გაანთავისუფლოს მთელი საზოგადოება (კაცობრიობა), უნდა მოიპოვოს პოლიტიკური ძალაუფლება და დაამყაროს თავისი რევოლუციური დიქტატურა. ამგვარად, მარქსი არამხოლოდ სენ-სიმონთან, სენ-სიმონისტებთან და კონტთან ერთად წინასწარმეტყველებს ოქროს საუკუნის დადგომას, არა მხოლოდ აღმოაჩენს პროლეტარიატში ახალ მესიას, არამედ „მეცნიერულად“ ასაბუთებს, რაც ამ მესიამ უნდა გააკეთოს, რათა შესრულოს თავისი მსოფლიო-ისტორიული დანიშნულება.

შემეცნების სოციოლოგია

მარქსმა პირველად დაამუშავა პრობლემური სფერო, ანუ სოციოლოგიური დისციპლინა, რომელიც სწავლობს შემეცნებით პროცესთა სოციალურ ფაქტორებს, სოციალურ მექანიზმებს და სოციალურ შედეგებს. საბოლოოდ, ამ დისციპლინამ მიიღო სახელწოდება „შემეცნების სოციოლოგია“. მარქსი თვლიდა, რომ მსგავსად იმისა, როგორც ადამიანის შესახებ არ შეიძლება ვიმსჯელოთ იმის საფუძველზე, რასაც იგი თავის თავზე ფიქრობს, ასევე საზოგადოებისა და სოციალური ჯგუფების შესახებ შეუძლებელია ვიმსჯელოთ იმ წარმოდგენების საფუძველზე, რომელთაც ისინი საკუთარ თავზე ქმნიან. ამიტომ სოციალური მეცნიერების ამოცანაა – აღმოაჩინოს ფარული, სიღრმისეული სოციალური რეალობა, რომელიც ძვეს მრავალგვარ იდეათა, წარმოდგენათა, ცოდნათა და რწმენათა საფუძველში. მარქსმა ერთ-ერთმა პირველმა დაამუშავა ეს დებულება, რომელსაც ეყრდნობა არა მხოლოდ შემეცნების სოციოლოგია, არამედ მთელი სოციოლოგიაც.

შემეცნებისადმი სოციოლოგიურმა მიდგომამ ყველაზე კონცენტრირებული გამოხატულება ჰპოვა იდეოლოგიის მარქსისტულ კონცეფციაში. იდეოლოგიის ქვეშ მარქსს ესმის ცნობიერი და არაცნობიერი მითოსური შემოქმედება, რომელიც მოწოდებულია, შეცვალოს ნამდვილი სოციალური პრაქტიკა, მეორე, შენიღბოს თავისი კავშირი ამ პრაქტიკასთან. საზოგადოება და უწინარეს ყოვლისა, გაბატონებული კლასები მას წარმოედგინა თავისებური სახის გიგანტურ ფაბრიკად, რომლებიც ილუზიებს აწარმოებენ: პოლიტიკურს, იურიდიულს, მეცნიერულს და მით უფრო რელიგიურს, მორალურს და მხატვრულს. ნამდვილმა მეცნიერებამ კი, რომელიც არაა დაკავშირებული სოციალურ სტატუსის შენარჩუნებასთან და „გამოიცნო“ ამ ილუზორულ ქმნილებათა კავშირი ურთიერთდაპირისპირებულ სოციალურ ძალთა ეკონომიკურისა და პოლიტიკურ ინტერესებთან, მარქსის მიხედვით, არის იდეოლოგიის ანტიპოდი. მხოლოდ მომავალ კომუნისტურ ფორმაციაში სოციალური ურთიერთობანი გახდებიან იმდენად მარტივი, ნათელი და გამჭვირვალენი, რომ იდეოლოგიები გაქრებიან, რადგან გაქრება ამ ზედნაშენური კამუფლიაჟის მოთხოვნილება..

დასკვნა

მარქსის შემოქმედებაში მეცნიერული და პოლიტიკურ-პრაქტიკული ასპექტები მჭიდროდაა ერთმანეთთან შერწყმული. თუმცა იგი თავის თავს მეცნიერად თვლიდა და სინამდვილეში ასე იყო, მაინც მის თვალში მეცნიერება უწინარეს ყოვლისა იყო არა მიზანი, არამედ საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის საშუალება. ამიტომ მისი შემოქმედების მეცნიერულ და არამეცნიერულ მხარეებს, რომელთა ურთიერთგავლენა ძალიან დიდია. მთლიანობაში მარქსის მოძღვრება მრავალმნიშვნელოვანი და წინააღმდეგობრივი, დაუსრულებელი ხასიათისაა, რამაც გამოიწვია კიდევ მისი მრავალგვარი ინტერპრეტაცია. მიუხედავად ამისა, მისმა მოძღვრებამ მასტიმულიზირებელი ზეგავლენა იქონია სოციოლოგიის განვითარებაზე. მართალია, მარქსს არ გამოუყენებია ტერმინი „სოციოლოგია“, მაგრამ მან დაამუშავა საზოგადოების საზოგადოების შესახებ სინთეზური მეცნიერება, რომელიც ინამდვილეში შეესაბამება სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების ნიშნებს.

ონტოლოგიური ასპექტით, მარქსმა მნიშვნელობანი წვლილი შეიტანა სოციალური რეალობის აღმოჩენაში, განიხილა რა საზოგადოება, როგორც ადამიანთა შრომითი საქმიანობის ფაქტორი და შედეგი, რომლებიც ერთდროულად აყალიბებენ სოციალურ სისტემებს და სოციალური სისტემების მიერ ყალიბდებიან.

მარქსმა ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სოციალური ცვლილებების, სოციალური და პოლიტიკური რევოლუციების შესწავლაში. ასევე სოციალური კლასებისა და სოციალური კონფლიქტების მისეული განმარტება გახდა პარადიგმული. საზოგადოების კონტისეული „კონსენსუსი“ პარადიგმის საწინააღმდეგოდ საფუძველი ჩაუყარა სოციალური განვითარების „კონფლიქტურ“ პარადიგმას. მარქსიდან იწყება სოციოლოგიაში სოციალური კონფლიქტის პოზიტიური ფუნქციების კვლევის ტრადიცია.

მეცნიერება მარქსისათვის იყო უფრო სამყაროს შეცვლის, ვიდრე მისი ახნის საშუალება. იგი შეუწყნარებელი იყო თავის მეცნიერული ოპონენტების მიმართ, ამიტომ პოლიტიკური რევოლუციონერის ეთიკა მასში ხშირად იმარჯვებდა მეცნიერის ეთიკაზე.

ნატურალიზმი სოციოლოგიაში XIX საუკუნისა და XX-ის დასაწყისში

ევოლუციონიზმი – სოციოლოგიაში ნატურალისტურ სკოლათა ბაზა.

მე-19 საუკუნის შუა და მეორე პერიოდში ინტელექტუალურ ისტორიაში ესაა დრო თითქმის ბუნებისმეცნიერების წარმატებებით საყოველთაო... და პოზიტივისტურ-ნატურალისტური

მსოფლმხედველობის გაფურჩქვნისა, რომლის განმსაზღვრელი გავლენის ქვეშაც ვითარდებოდა მაშინდელი სოციოლოგია.

სოციალური განვითარების ამა თუ ბუნებრივი ფაქტორების ან მამოძრავებელი ძალების წინა პლანზე წამოწევა ნატურალისტურ სკოლათა კლასიფიკაციის საფუძვლად გვევლინება. ასე მაგალითად, ბიორგანული სკოლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას აწერდა სოციალური მთელის სტრუქტურას, რასობრივ-ანთროპოლოგიური – ადამიანის ბიოლოგიური ბუნების, მისი რასობრივი ნიშნებისა და გენოტიპის გავლენას საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, სოციალური დარვინიზმი – არსებობისათვის ბრძოლას და ბუნებრივ შერჩევას, გეოგრაფიული სკოლა – გეოგრაფიულ გარემოსა და ადამიანთა სივრცობრივ განლაგება – განაწილებას და ა.შ. აქედან ჩვენ გეოგრაფიული სკოლისა და სოციალ-დარვინიზმის იდეებს შევისწავლით

გეოგრაფიული სკოლა – მიმართულება

საზოგადოებრივ ცხოვრებაში გეოგრაფიული გარემოს როლის შესახებ საკითხი ამა თუ იმ ფორმით თითქმის ყველა მოაზროვნის მიერ საზოგადოების შესახებ მოძღვრების ჩასახვის მომენტიდანვე ისმებოდა სოციალურ-ფილოსოფიური აზრი საზოგადოებისა და ბუნების გლობალური შეპირისპირებისაგან ცელკეულ სოციალურ პროცესებსა და მოვლენებზე (მოსახლეობის ზრდა, საწარმოო ძალები, პოლიტიკური წყარო და ა.შ.) გარემოს სხვადასხვა ფაქტორების (კლიმატი, რელიეფი, ბუნებრივი სიმდიდრეები) გავლენის სპეციალურ შესწავლამდე განვითარდა.

საზოგადოებისთვის გეოგრაფიული გარემოს მნიშვნელობის შესახებ განაზრებანი მიდიოდა ორ ლოგიკურ უკიდურესობამდე: **მექანიკურ გეოგრაფიულ დეტერმინიზმამდე**, რომელიც ამტკიცებდა თითქოს ადამიანის მთელი საქმიანობა განსაკუთრებით განპირობებულია მისი ბუნებრივი გარემოთი და **აბსოლუტურ კულტურულ დეტერმინიზმამდე**, რომელიც ხაზს უსვამდა იმას, რომ გარემოს თვით აღქმას და ადამიანისთვის მის მნიშვნელობას განსაზღვრავს კულტურა და ამიტომ ადამიანური საქმიანობის ახსნა უნდა იყოს მხოლოდ კულტუროლოგიური, ვერ აფასებდა იმ ფაქტს, რომ ადამიანთა კულტურული შესაძლებლობანი მაინც განსხვავებულია განსხვავებულ ბუნებრივ პირობებში. გარემოს ყოველგვარი გავლენის აბსურდამდე დაყვანამ და უარყოფამ მიგვიყვანა თავისებურ სოციოკულტურულ სოლიპსიზმამდე. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივ აზროვნებაში გეოგრაფიული მომდინარეობა-მიმართულება სრულებითაც არ ემთხვეოდა ვიწრო გეოგრაფიულ დეტერმინიზმს, რომელიც ამ მიმართულების მხოლოდ ნაწილი იყო. უკვე მე-19-ში დაიწყო სისტემური გამოსვლა იმ სიძნელეებიდან, რომელსაც ბადებდა „ადამიანი – ბუნება“ და „კულტურა – გარემო“ ტიპის დიხოტომიები, ადამიანის, კულტურისა და გარემოს როგორც მთლიანის – მთელის, როგორც გეოგრაფიული რეგიონის ერთიანი ხასიათის განხილვის გზით. მეცნიერებისთვის ადამიანი მტკიცედ იქცა ბუნების ნაწილად და არა რაღაც ღვთაებრივ გამონაკლისად. 19-ის მეორე ნახევრიდან გეოგრაფიულ გარემოზე დამოკიდებულ სოციალურ სტრუქტურათა ერთმიმართულებოვანი ევოლუციის თეორიის პირველსახედ იქცა ბუნებრივი შერჩევის

დარვინისეული თეორია, რომელიც მართალია ძალიან ფართოდ იყო განმარტებული. ამ პერიოდში გეოგრაფიული დეტერმინიზმის თეორიებმა მიაღწიეს ყველაზე ფართო აღიარებას, და ბუნებისმეცნიერული თვალსაზრისით კარგად დასაბუთებულნიც ჩანდნენ. ბიოლოგიის ნიმუშების მიხედვით თეორეტიზირების სასარგებლო შედეგი იყო მოსახლეობის სივრცობრივი განაწილებისა და ადამიანის ეკოლოგიისადმი ყურადღების მიქცევა (რაშიც შეიძლება დავინახოთ თანამედროვე სოციალური ეკოლოგიის ჩანასახები).

სოციალური გეოგრაფიისა და სოციოლოგიაში გეოგრაფიული მიმდინარეობების თვალთახედვის არეში მოხვდნენ ისეთი ბუნებრივი ფაქტორები, როგორცაა კლიმატი, ნიადაგი, რელიეფი, წყლის რესურსებისა და სასარგებლო წიაღისეულის განაწილება, ფლორა და ფაუნა, გეოგრაფიული და კოსმოსური პროცესები, წლის დროების ცვლა და სხვა, აღნიშნულ ფაქტორებზე დამოკიდებულ ძირეულ სოციოლოგიურ მოვლენათა რიცხვში განიხილავდნენ:

- ა) დედამიწაზე მოსახლეობის განლაგებასა და სიმჭიდროვეს, მის ჯანმრთელობასა და ნაყოფიერებას;
- ბ) ფიზიკურ და ფსიქიკურ რასობრივ, განსხვავებებს სხეულის აგებულებაში, ტემპერატურაში, მორალის ფორმებში უმაღლესი ნიჭიერების შემთხვევათა სიხშირეზე;
- გ) სამეურნეო საქმიანობის სახეებს, მის ორგანიზაციას, რიტმებსა და ციკლებს, მოსახლეობის კეთილდღეობის დონეს;
- დ) სოციალ-პოლიტიკური ორგანიზაციის, სოციალური ინსტიტუტებისა და ქორწინებების ტიპებს; ე) კულტურული კონტაქტებისა და ნასესხობის შესაძლებლობებს, ეკონომიკური და კულტურული განვითარების ტემპებს;
- ვ) რელიგიას, მითოლოგიას და ლიტერატურას – ერთი სიტყვით, საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა გამოვლენას.

მე-19 ს-ის სოციოლოგიაში გეოგრაფიული სკოლის ჩამოყალიბებას ხელს უწყობდა როგორც პოზიტივისტური ისტორია და ფილოსოფია, ისე გეოგრაფიული ტრადიციებიც. გეოგრაფიული დეტერმინიზმის კრედო, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა კლასიკური ბუნებისმეცნიერების მეთოდოლოგიის ტყვეობაში, დიდი ხნით ადრე ჩამოაყალიბა ფრანგმა ეკლეკტიკოსმა ფილოსოფოსმა ვიქტორ კუზენმა (1792-1867): „მომეცით მე ქვეყნის რუკა, მისი მოხაზულობა, წყლები – მთელი მისი ფიზიკური გეოგრაფია; მომეცით მე მისი ბუნებრივი ნაყოფნი, ხილი, ფლორა, ზოოლოგია, – აცხადებდა იგი – და მე წინასწარ გეტყვით, თუ როგორია ამ ქვეყნის ადამიანი, თუ როგორ როლს თამაშობს ეს ქვეყანა ისტორიაში, არა შემთხვევით, არამედ აუცილებლობის ძალით, და არა ერთ ეპოქაში, არამედ ყველა ეპოქებში“. იმ პერიოდში ნატურალიზმი და გეოგრაფიული ფსევდოდეტერმინიზმი აღზევდნენ საზოგადოებრივ მეცნიერებათა ყველა დარგსა და სფეროში, თვით იდეალისტური ხასიათის სისტემებშიც კი. 19-ის შუახანებში რელიგიათმცოდნეობაში იფურჩქნებოდა სოციალ-მეტეოროლოგიური თეორია (მაქს მიულერი და სხვები), რომელიც მითებს განმარტავდა როგორც ასტრონომიული და ატმოსფერული მოვლენების ანალოგს და დიდ ბუნებრივ კატასტროფებში ხელავდა ღმერთების რწმენის წყაროს, ერნსტ რენანი „მონოთეიზმის სულისკვეთების –

სულის“ შესახებ საფუძველს უდაბნოს პეიზაჟში ხედავდა, ხოლო იპოლიტ ტენი თავის „ხელოვნების ფილოსოფიაში“, მაგალითად ფერწერის ფლორენციულ და ფლამანდრიულ სკოლებს შორის განსხვავებებს იტალიისა და ჰოლანდიის გეოგრაფიულ პირობებს შორის არსებული განსხვავებებში ხედავდა.

ინგლისელი პოზიტივისტ-ისტორიკოსი ჰენრი ტომას ბოკლი /1821-1862/ მიისწავლდა რა დაესაბუთებინა ისტორიული განვითარების ობიექტური კანონზომიერება, მოყავდა მრავალი, ერთი შეხედვით სიმართლის მსგავსი მაგალითები იმისა, თუ როგორ განსაზღვრავდნენ სპეციფიკური ლანდშაფტი, კლიმატი, ნიადაგის მოსავლიანობა, კვება, ხალხთა ცხოვრებას, სხეულის აგებულებას, სიმდიდრის დაგროვებას შორის არსებულ განსხვავებებს, ხოლო შემდეგ, თუ როგორ განსაზღვრავდნენ სრული ორგანიზაციის და საბოლოო ჯამში მათ ისტორიულ ბედს შორის განსხვავებებს, მაგრამ ბოკლთან ჩვენ გვხვდება, შენიშვნა, რომ სოციალურობის განვითარების უმაღლეს დონეზე გონებრივი ფაქტორები თანდათანობით იძენენ უპირატესობას ფიზიკურზე. ბოკლმა გაგლენა იქონია ზოგიერთ მიმართულებაზე ეკონომიკურ გეოგრაფიასა და სოციოლოგიაში, რომელთა წარმომადგენლობა ამტკიცებდნენ, თითქოს საკმარისი ვიცოდეთ ბუნებრივი სიმდიდრეები, ენერჯის წყაროები, მიმოსვლის ბუნებრივი გზები, რომ განვსაზღვროთ ამა თუ იმ საზოგადოების წარმოების ხასიათი და მოცულობა, მისი მთავარი ეკონომიკური ფუნქციები.

ეკონომიკური, ფსიქიკური და სოციალური ფაქტორების ფიზიკური გარემოთი პირდაპირი და ერთმნიშვნელოვანი განსაზღვრულობის შესახებ მსგავსი დასკვნები შეიძლებოდა წარმოშობილიყო მხოლოდ მაშინ, როდესაც ხდებოდა ურთიერთდაკავშირებული სოციალური ფაქტორების მთელი რიგი შუამავალი – შუალედური რგოლებისა და ამ ფაქტორებსა და გარემოს შორის ფუნქციონალური ურთიერთდამოკიდებულებების იგნორირება, აგრეთვე როდესაც ნათლად თუ გაურკვეველად ხდება ზოგადმეცნიერული იდეალის სახით ფიზიკური მონიზმისა და მექანიკური დეტერმინიზმის მიღება, გარეგანი სამყაროს ადამიანის ფსიქიკის მიერ პასიური კოპირების შესახებ მათეული წარმოდგენებთან ერთად. გარდა ამისა, აქ ვერ აფასებდნენ კულტურული დისფუზიისა და ურთიერთგავლენის რეზულტატებს, ვინაიდან გარემოს ზემოქმედება ხშირად გამოიხატებოდა ისე, თითქოს მოცემული საზოგადოება მუდამ ცხოვრობდა აბსოლუტურ იზოლაციაში, როგორც კულტურულად დამოუკიდებელი ერთეული.

საზოგადოების განვითარებაში გარემოს ფიზიკური ფაქტორების როლის გარკვევას ცდილობდნენ გეოგრაფებიც, რომლებიც ამავე დროს იზიარებდნენ პოზიტივისტური ისტორიოგრაფის მრავალ შეცდომას. გამოჩენილი სოციოგრაფები იყო გერმანელი მეცნიერი კარლ რიტერი /1779-1859/ ალექსანდრე ჰუმბოლდტთან ერთად /1769-1859/, რომელიც თანამედროვე გეოგრაფიის საფუძველმდებლად ითვლება. რიტერის მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო იყო ბუნებისა და კულტურის ურთიერთზემოქმედების, ისტორიულად კონკრეტული გეოგრაფიული მხარის ჩამოყალიბებულ ელემენტთა ურთიერთდაკავშირებულობის იდეა. დედამიწა – ერთიანი „ორგანიზმია, რომელიც დაყოფილია შინაგანად დაკავშირებულ, მთლიან რეგიონებად“. ამ რეგიონთა საზღვრების სწორი განსაზღვრებისათვის

აუცილებელია ლანდშაფტის, კლიმატის, მცენარეულობის (განსაკუთრებით კულტურის), ცხოველთა სამყაროს, ადამიანის გარემოს ადრინდელ ელემენტებთან ისტორიულ ურთიერთქმედებაში ყოველმხრივი აღწერა.

მაგრამ რიტერის მსოფლმხედველობა იყო არა ნატურალიზმი, არამედ გერმანულ რომანტიკოსთა ფილოსოფიური ორგანიზმი, მათივე პოლარულ ურთიერთობათა უმაღლეს სინთეზში გამაერთიანებელი მსოფლიო წესრიგის რწმენით. საზოგადოებრივ მეცნიერებებისათვის რიტერის მნიშვნელობა მანპირობებუღია იმით, რომ მის გეოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ადამიანსა და ისტორიას. რიტერის აზრით, გეოგრაფიამ უნდა ახსნას ის, თუ როგორ ახდენს გავლენას ადამიანი მის მიერ დასახლებულ სივრცეზე და თვითონ როგორ „აღიზრდება“ მკაცრ ან ხელსაყრელ პირობებში. მას განსაკუთრებით აინტერესებდა ყოველი მხარის უმაღლესი კულტურული გაფურჩქნის პერიოდები, რამეთუ მისი აზრით, მაშინ მიიღწევა ბუნებასა და კულტურას შორის ჰარმონიის უმაღლესი ხარისხი და დონე.

რიტერის შრომებში ორგანულადაა შერწყმული თემები, რომლებიც მოგვიანებით დანაწევრდა და იქცა გეოგრაფიისა და სოციოლოგიის სხვადასხვა დარგების კვლევის საგნებად. მის შემდეგ ნათლად იქნა შემჩნეული გეოგრაფიის ორ ნაწილად დაყოფილი ტენდენცია: ფიზიკურ გეოგრაფიად და სოციალურ, ანუ ანთროპოგეოგრაფიად, რომლიდანაც თავის მხრივ სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა ქვეყნებში გამოიყო ეკონომიკური, პოლიტიკური, ისტორიული, კულტურული და სტატისტიკური გეოგრაფია.

ანთროპოლოგიისა და კერძოდ პოლიტიკური გეოგრაფიის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ფრიდრიჰ რატცელმა /1844-1904/, გერმანელმა ზოოლოგმა, მოგზაურ-ჟურნალისტმა, სოციოლოგმა, გეოგრაფიის პროფესორმა.

ანთროპოლოგიის საგანი რატცელმა განსაზღვრა, როგორც ადამიანის მოდემის შესწავლა იმ ზომით, რა ზომითაც ეს უკანასკნელი თავის სასიცოცხლო გამოვლინებებში განისაზღვრება გეოგრაფიული ნატურალიზმის იდეოლოგიის შესატყვისად. განათლებით ბიოლოგი რატცელი შეეცადა გაეერთიანებინა ბიოლოგიის, ეთნოგრაფიისა და გეოგრაფიის ცნებები და მეთოდები. ანთროპოგეოგრაფია, თვლიდა იგი, უნდა იყოს ზოგადი ბიოგეოგრაფიის ნაწილი და პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების დროს ჩვეულებრივ ეკოლოგიურ და ევოლუციურ ცნებებს უნდა იყენებდეს.

გეოგრაფიული გარემოს თვისებების შესატყვისად კულტურის დიფერენციაციის მეცნიერული აღწერა რატცელთან შერწყმული იყო ბიოლოგიურ სპეკულაციებთან, განსაკუთრებით მის „პოლიტიკურ გეოგრაფიაში“ სახელმწიფოთა სივრცობრივი გაფართოების ან შემცირების ახსნისას და ასევე შერწყმული იყო გეოგრაფიული დეტერმინიზმისათვის ტიპიურ მკდარ ტენდენციასთან, რომლის მეხედვითაც ატარებენ პირდაპირ მიზეზობრივ კავშირებს ბუნებრივი გარემოს თვისებებსა და ადამიანურ პრაქტიკას შორის ისე, რომ გვერდს უვლიან გამაშუალებელ სოციალურ რგოლებსა და მექანიზმებს.

გარემოს გავლენის ყველა შედეგი მან დაყო **სტატისტიკურ** (რომელიც ძირითადად გამაგრებულია ინდივიდთა მუდმივ ბიოფსიქიკურ თვისებებში) და **დინამიკურ** (სოციალ-პოლიტიკური ორგანიზაციის ცვალებადი ისტორიული რეზულტატები) შედეგებად. ათასწლობით მიმდინარე გეოგრაფიულ ფაქტორთა

განსაკუთრებით კლიმატისა და სივრცობრივ-ვრცეულ განლაგება-მდებარეობის უშუალო ზემოქმედება არის სხვადასხვა- ტერიტორიებზე მცხოვრებ ადამიანთა ჯგუფებს შორის არსებულ **სომატურ** და **ფსიქიკურ** განსხვავებათა მიზეზები. მთები და სივრცობრივი ჩაკეტილობა მაგალითად უმუშავებს მოსახლეობის ტრადიციონალიზმს, ცოტათი დაკმაყოფილების უნარს, ვიწრო ნაციონალიზმს, ვაკეები და ზღვები კი უმუშავებენ ისეთ ფსიქიკურ თვისებებს, როგორებიცაა სევდა, ნაღველი სივრცეზე, ექსპანსიისა და გაბედულ წამოწყებათა სულისკვეთებას. ბუნებრივი საზღვრები (მთები, ზღვა) თითქოსდა იწვევს და ხელს უწყობს იზოლირებულ სოციალურ ჯგუფთა წარმოშობას სუსტად განვითარებული პოლიტიკური ძალებით, ხოლო დაბლობი და ვაკე ადგილები, – ცენტრალიზაციას და ძლიერ ხელისუფლებას მომთაბარეთა თავდასხმებისაგან დასაცავად, რომელიც მოგვიანებით გადადის ძლიერ სოციალურად და კულტურულად იზოლირებულ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციაში. იგივე კანონებს ექვემდებარება ენისა და კულტურის გაგრძელება.

სახელმწიფოები ფუნქციონირებენ როგორც ცოცხალი ორგანიზმები, ექვემდებარებიან ზრდისა და დაცემის, დაღუპვის ბუნებრივ პროცესებს და ამგვარობის გამო შეუძლებელია მკაცრ საზღვრებში იქნენ მოქცეულნი და შენარჩუნებულნი. არეალი, სივრცე (Raum) და ადგილმდებარეობა – სახელმწიფოს წარმოშობის აუცილებელი ფაქტორებია. ერის, ნაციის, ან კულტურის განვითარება ექსპანსიისა და თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გაუმჯობესების უნართანაა დაკავშირებული.

აქედან მხოლოდ ერთი ნაბიჯია ბიოლოგიური ანალოგიების პოლიტიკურ იდეოლოგიად გადაქცევამდე, ეს ნაბიჯი გულისხმობდა და ნათლად გადადგა ე.წ. გერმანულმა გეოპოლიტიკის სკოლამ კარლ ჰაუსჰოფერის /1869-1946/ მეთაურობით, რომლის „მოძღვრების“ მიხედვითაც სახელმწიფოთა პოლიტიკური განვითარება და ექსპანსია თითქოსდა დეტერმინირებულია გეოგრაფიული ტენდენციებით. გეოპოლიტიკის არსენალიდან იქნა ამოღებული დასანანად ცნობილი არგუმენტები გერმანიის „სასიცოცხლო სივრცის“ არასაკმარისობისა და პოლიტიკური საზღვრების არაბუნებრიობის შესახებ. ფაშისტური აგრესიის გასამართლებლად. ტერმინ „გეოპოლიტიკის“ ავტორი შვედი სოციოლოგი და სახელმწიფომცოდნე იოჰან რუდოლფ ჩელენი /1864-1922/ განმარტავდა რატცელის გავლენით მოძღვრებას სახელმწიფოს, როგორც – გეოგრაფიული ორგანიზმის შესახებ, ეკლექტიკურად აერთიანებდა რა გეოგრაფიული დეტერმინიზმს, სოციალური დარვინიზმის, ბიოლოგიურ-ორგანულ და რასობრივ-ანთროპოლოგიურ თეორიებს.

ვულგარული გეოგრაფიული დეტერმინიზმის ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი ისტორიული ხდომილებების ახსნაში იყო შუალედური ფაქტორების სახით ჯანსაღი აზრის სხვადასხვა „ფსიქოლოგიური ჭეშმარიტებების“ ფართო გამოყენება. ამით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ პოლიტიკური გეოგრაფები, რომლებიც საჭიროებისდა მიხედვით იყენებდნენ საუკუნეობრივ ცრურწმენებს და „უახლოეს“ რასისტულ მონაჩმას- გამონაგონს „ხალხის სულის, გონის“ შესახებ, რომელიც თითქოსდა ჩამოყალიბდა გეოგრაფიული გარემოს მიერ. ძნელია თვით იმ მცდელობების რაოდენობის ჩამოთვლაც კი, როდესაც ცდილობდნენ მაგ. რასის „ხალხის სულის“ მეშვეობით დადგინათ მიზეზობრივი კავშირები გეოგრაფიულ პირობებსა და არქიტექტირას, ფერწერას, ლიტერატურას,

მუსიკასა და რელიგიას შორის და ა.შ. ამგვარი შრომებიდან მრავალი გამოირჩეოდა გეოგრაფიული ფაქტორების დეტერმინიზმის შეფარდებითობის გაუგებრობით.

პოლიტიკური გეოგრაფიის შინაარსი არ ამოიწურება პოლიტიკური ხდომილებების მხოლოდ საექვო ფსევდოგეოგრაფიული ახსნებითა და წინასწარმეტყველებით. მრავალმა პოლიტიკურმა გეოგრაფმა მოგვცა სხვადასხვა „პოლიტიკურ ზონათა“ წარმოქმნის, ექსპანსიისა და დაშლის, მათი ადმინისტრაციული ცენტრების, საზღვრების დაცვითი ხაზების დაკვირვებითი ისტორიული გამოკვლევები. არ არის აგრეთვე აზრს მოკლებული პოლიტიკურ გაერთიანებებსა და მის გარემოს ურთიერთშემოქმედებაში დაფარული „პოლიტიკური პოტენციალის“ შეფასების შესახებ საკითხის დასმაც. პოლიტიკური გეოგრაფია წარმატებით სწავლობს პოლიტიკური ძალაუფლების გავლენას ლანდშაფტის, ფიზიკურ და სოციალურ ასპექტებზე, ლინგვისტურ და კულტურულ გაერთიანებათა და ა.შ. ფორმირებაზე.

XX ს-ის დასაწყისში საზოგადოებრივ მეცნიერებებში ძველი გეოგრაფიული მიმართულების მრავალი თემა და მასთან ერთად შეცდომებიც, მემკვიდრეობით მიიღო ამერიკულმა ენვირონმენტალიზმმა (ინგლისური environment-გარემო). შედარებით ახალი მასში იყო გეოგრაფიული დეტერმინიზმის პოპულარულ პიპოთეზათა შემოწმების სტატისტიკურ და სხვა „მკაცრ“ მეთოდთა გამოყენებისადმი მიდრეკილება. ენვირონმენტალიზმის ფუძემდებელმა და რატცელის პოპულიზატორმა **ელენ სემპლმა** გაატარა განსაზღვრულ ტერიტორიაზე ადამიანის ცხოველმოდვაწეობაზე – საქმიანობაზე ფიზიკური გარემოს „კონტროლის“ იდეა.

ენვირონმენტალიზმის გამომჩენილი წარმომადგენელი იყო ამერიკელი გეოგრაფი განათლებით გეოლოგი **ელსუორთ ჰანტინგტონი** /1876-1977 იყენებდა რა სტატისტიკის, პალეობოტანიკის, კლიმატოლოგიის, ისტორიის, დემოგრაფიის და სხვა მეცნიერებათა მეთოდებსა და მონაცემებს (ხშირად არასწორად) იგი ისწრაფვოდა დაესაბუთებინა კლიმატის ცვლილებებისა („პულსაციებსა“) და ცივილიზაციების პროგრესს ან დაცემას შორის მჭიდრო კორელაციების არსებობა.

ამასთანავე ძირითადი გამაშუალებული კავშირები ასე გამოიყურებოდა:

- 1) კლიმატი გვლენას ახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე (ამ გავლენის შესაფერისად ჰანტინგტონმა შეისწავლა სიკვდილიანობისა და ტემპერატურის თვიური მრუდის დამთხვევები და ა.შ.);
- 2) კლიმატი გავლენას ახდენს ფიზიკურ და გონებრივ აქტიურობაზე. შრომის ნაყოფიერებაზე და მაშასადამე, იწვევს საზოგადოების საქმიან და ეკონომიკურ ცვლილებათა მერყეობას (აქ ძირითადი ემპირიული ბაზა იყო სიკვდილიანობის კოეფიციენტის და საქმიანობის დაცემისა და გამოცოცხლების მნიშვნელობათა პარალელების შესახებ მონაცემები);
- 3) რამდენადაც ცივილიზაცია არის ენერჯისა და ერის, ნაციის მნიშვნელობა-ნაყოფიერების-მწარმოებლურობის ფუნქცია, ამდენად კლიმატის სასარგებლო ან უარყოფითი რყევები განსაზღვრავენ ცივილიზაციათა ზრდას, დაცემასა და გადაადგილებას.

ჰანტინგტონმა აგრეთვე აფრიკულ-აზიური აკენიდან ევროპის ჩრდილო-დასავლეთის უფრო ცივ და მრავალსახოვან კლიმატის პირობებში ცივილიზაციის თანდათანობით გეოგრაფიული გადაადგილების შესახებ ძველი იდეა განავითარა . „ცივილიზაციის ჩრდილოეთური დრეიფის“ თეორიას სხვადასხვა ვარიანტებით ჯერ კიდევ ადრე იცავდნენ ფრანგი კლოდ ვაიო, პიერ მუჟილი, ედმონ დემოლენი და მრავალი სხვა. მაგრამ შედარებითი რუკებისა და კორელაციების (ურთიერთდამოკიდებულებების – შეფასებების) შემუშავების კრიტერიუმები, რომლებითაც ჰანტინგტონი ამავრებადა ამ თეორიას, უპირატესად სუბიექტური და ევროპოცენტრისტული იყო. ცივილიზაციების შეფასებათა საფუძველში სრულყოფილების რანგის მიხედვით მან ჩაღო „აქტივიზმი“ და მასთან ერთად მან გაიმეორა ის ძველი ცრურწმენები (რომლის პირველწყაროები იყო XIV ს-ის არაბი ისტორიკოსის იბნ ხალდუნის შრომები), თითქოს უმაღლესი კულტურა და სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაციის ყველაზე რთული ფორმები შეიძლებოდა წარმოშობილიყო მხოლოდ ზომიერ, მაგრამ არასუბტროპიკულ ან პოლარული კლიმატის პირობებში, რადგან სუბტროპიკებში ბუნების ნობათა სიუხვის გამო თითქოს არ არის საჭირო შრომის დიდი დანახარჯები, რასაც მივყავართ სამხრეთელ ადამიანთა ინერტულობასა და სიზარმაცესთან, ხოლო შიმშილთან და სიცივესთან ბრძოლა პოლარული კლიმატის პირობებში ადამიანებს უმუშავებს მორჩილებას და ძალას არ უტოვებს გასაავითარებლად. საბოლოო ჯამში კულტურის კერათა ჩრდილოეთისაკენ განააცვლების კანონი დარჩა ფაქტთა ცალმხრივ შერჩევაზე დაფუძნებულ სპეკულაციად. იგი ვერ გადაარჩინა ვერც ტექნოლოგიური დეტერმინიზმის ელემენტების შემოტანამაც. მაგალითად, ვაიოსთან, რომელიც ჩრდილოეთისკენ კულტურის სვლის მიზეზებს სივრცისაგან ადამიანის დაცვის ტექნიკის განვითარებაში ხედავდა.

მართალია, ჰანტინგტონისა და სხვა ენვირონმენტალისტების „მარადიულმა კანონებმა“ ვერ გაუძღეს მტკიცედ დადგენილი ფაქტების შემოწმებას, მაგრამ მათმა მრავალმა ღირებულმა (ფასეულმა) დაკვირვებებმა და თვითონ ზოგიერთმა ჰიპოთეზამაც კი არაპირდაპირი მხარდაჭერა სპაციალისტებისა (ბიოლოგების, კლიმატოლოგების, ფსიქიატრების და ა.შ.) უფრო ვიწრო კონტექსტებში მოიპოვეს. ასე მაგ.: ჩაიშალა ენვირონმენტალისტური ცდები, დაეკავშირებინათ საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებაში საქმიანი ციკლების მზის აქტივობის პერიოდებთან, მაგრამ მრავალი ფსიქოლოგის და კრიმინალისტების მიერ შემჩნეულ იქნა რთული დამოკიდებულებანი მას (საქმიანი ციკლების), ატმოსფერული და სხვა კლიმატური მოვლენების ცვლილებებს შორის ერთის მხრივ და ფიზიოლოგიურ პროცესებს შორის, მეორეს მხრივ, ჯერ კიდევ ადოლფ კეტლე, ხოლო შემდეგ ჩეზარე ლომბროზოც აღნიშნავდა ზოგიერთ დანაშაულებათა სიხშირის „სეზონურ“ რხევას. თანამედროვე ამერიკულ სოციოგეოგრაფიაში შენარჩუნებული მისწრაფება დეტერმინიზმისა და რაოდენობრივი მიდგომისადმი, მაგრამ უფრო შეზღუდულ მოდელებში წინასწარმეტყველებების მაღალი ალბათობით და შესაძლებლობით. ენვირონმენტალიზმის პრობლემატიკა შეიწავლება არა წინანდელი გლობალური პლანით, არამედ უფრო სპეციალურად.

ნაწილობრივ, როგორც რეაქცია ენვირონმენტალიზმზე 19-ის დასასრულიდან აშშ-ში განვითარდა „კულტურული გეოგრაფია“, რომელიც კულტურის ანთროპოლოგიურ იდეას იყენებდა (აღფრედ კრებერი

და სხვა). იგი დაუინებულ ყურადღებას უთმობდა ადამიანის საქმიანობას, რომელიც ცვლიდა მისი ისტორიული წარსულის ნაკვალევს როგორც მოცემული კულტურის გავრცელების მატერიალურ მოწმეს. ბუნებასთან ურთიერთობაში ადამიანის აქტიურ როლზე ამგვარი აქცენტირება განსაკუთრებით დამახასიათებელია ფრანგული სოციოგეოგრაფიის ტრადიციისათვის დაწყებული თანამედროვე სოციალური ეკოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებლის ლე პლეს სკოლისაგან. მან წამოაყენა ადამიანური ცხოვრების განმსაზღვრელ ფაქტორთა სამერთიანი ფორმულა: **ბინადრობის ადგილი, შრომა, ოჯახი.**

ლე პლეს სკოლის წამყვანი წარმომადგენლები იყვნენ **ანრი დე ტურვილი /1843-1903/** და **ედმონ დემოლენი /1852-1907/**, ემპირიული სოციალური გამოკვლევების ისტორიაში ცნობილი ოჯახური მონოგრაფიების შედგენისას სკოლა აუცილებლად სწავლობდა ოჯახის ან საზოგადოების ფიზიკურ გეოგრაფიას: ნიადაგს, რელიეფს, კლიმატს, წყლის განაწილებას და ა.შ. დემოლენის ძირითად შრომებში „ხალხთა დიდი გზები“ (1901) ფართო ისტორიულ მასალაზე დაყრდნობით გამოკვლეულია გეოგრაფიულ ვითარებასა-გარემოსა და სოციალური ორგანიზაციის სხვადასხვა მახასიათებლებს, შრომის საკუთრების ფორმებს შრომის ძირითადი კავშირები. ასე მაგალითად, დემოლენის თანახმად, სტეპებში ცხოვრება ისტორიული განვითარების ადრეულ ეტაპზე განსაზღვრავდა მწყემსობას, როგორც უძირითადეს საქმიანობას, მიწის საკუთრების არარსებობას, რამდენადაც მომთაბარისათვის უფრო მნიშვნელოვანია ჰქონდეს სტეპებში თავისუფლად გადაადგილების საშუალება, ვიდრე იყოს მიწის კერძო მესაკუთრე, და ასევე განსაზღვრავდა „სოციალური ტიპის“ სხვა თვისებებსაც. ტურვილმა, რომელმაც გამოიკვლია დასავლური ტიპის საზოგადოების წარმოშობა, მიუთითა სკანდინავიაზე მისი იზოლირებული ფიორდებით, როგორც „მსოფლიო ლაბორატორიაზე“, სადაც მხოლოდ შეიძლება თითქოს ჩამოყალიბებულიყო ადამიანის, ოჯახისა და საზოგადოების კერძო და პარტიკულარული ტიპი.

გეოგრაფიული ფსევდოდეტერმინიზმის მოწინააღმდეგე იყო აგრეთვე ფრანგი „პოსსიბილიზმი“ (ფრანგ. *possibilite* – შესაძლებლობა). ამ მიმართულების წარმომადგენლები თვლიდნენ, რომ ერთნაირი გარემო არ არსებობს არც ინდივიდებისათვის – ერთი და იგივე ბუნებრივ პირობებზე რეაქციათა სხვადასხვაობისა და თანშობილი თვისებების გამო, და არც განვითარების სხვადასხვა დონის კულტურისთვისაც. პოსსიბილიზმმა დაადგინა გარემოს სტატისტიკური კონცეფცია როგორც ერთხელ და სამუდამოდ მოცემული რამ, რომელიც არ არის კავშირში აქტიურ ისტორიულ სუბიექტთან. ამ მიმდინარეობის ისტორიზმი მოითხოვდა საკითხის დასმას ყოველთვის კონკრეტულად: გარემო ვისთვის და რისთვის, როგორ შესაძლებლობებს იყენებს მასში მოცემული კულტურა.

სოციოგეოგრაფიის ფრანგული სკოლის დამაარსებელი იყო გეოგრაფი და ისტორიკოსი **პოლ ვიდალ დე ლაბლაში /1845-1918/**. მისი გამოკვლევების ცენტრად იქცა არა წანამძღვარი, თითქოს მოცემული გარემო განსაზღვრავს ცხოვრების ამა თუ იმ წესს, არამედ თანდათანობითი ისტორიული ცვლილებები, რომლებსაც განიცდის გარემო ცვლილებების ცვალებადი წესის შედეგად. ლანდშაფტი ვიდალისათვის – არის არა ხდომილებების ბუნებრივ თანმიმდევრულობათა უბრალო პროდუქტი, არამედ ადამიანის შრომის შედეგი და რეზულტატი, რომელიც მომავალი თაობებისათვის ქმნის არსებობის ახალ პირობებს.

ვიდალის შრომებისა და სხვა სოციოგეოგრაფიის ფრანგი წარმოდგენლების დამსახურება იყო გერმანული გეოპოლიტიკის ფსევდოდეტერმინიზმის მხილება. პოსიბილისტებმა აჩვენეს, რომ გეოპოლიტიკოსები ხშირად აგებენ დასაბუთებებს და მტკიცებებს post factum (ეს არის დასაბუთება მოცემული პოლიტიკურ-სოციალური მოვლენის ისტორიული არსებობიდან თითქოსდა მასზე პასუხისმგებელი გეოგრაფიულ პირობებზე, რომ თითქოს ამ ისტორიული ფაქტის არსებობაზე პასუხისმგებელია მოცემული გეოგრაფიული გარემო), და ფაქტის საწინააღმდეგოდ. გამარტივებული გეოგრაფიული დეტერმინიზმის კრიტიკის ძირითადი წესი და ხერხი მუდამ იყო იმის ახსნა, თუ როგორაა რომ ერთნაირ გეოგრაფიულ პირობებში ვითარებიან სრულიად სხვა დონისა და ტიპის საზოგადოებანი და კულტურები. ერთი და იგივე გარემო აძლევს სხვადასხვა ეკონომიკურ შესაძლებლობებს ადამიანებს, რომლებმაც იციან ან არ იციან, თუ როგორ გამოიყენონ მისი რესურსები. ამ რესურსთა ღირებულება – ფასი დამოკიდებულია არა იმდენად მათ ბუნებრივ თვისებებზე, რამდენადაც ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების ხასიათზე. მაშინაც კი, როდესაც თითქოს ცხადია დამოკიდებულება გეოგრაფიულ პირობებსა და კვების ხასიათს შორის მარტივად ორგანიზებულ საზოგადოებებში, რომლებიც მრავალ ნედლ-გადამუშავებულ პროდუქტს იყენებენ, სინამდვილეში ეს დამოკიდებულებანი რთულია, გაშულებულია და აქვთ მხოლოდ და მხოლოდ ლოგიკური მნიშვნელობა. საკვების მოპოვება – საზოგადოებრივი პროცესია, და კვების სოციალური ასპექტები, წეს-ჩვეულებების, რწმენები, ეფექტური ან პირიქით, მოუხერხებელი გამოყენება საკვები პროდუქტებისა, თამაშობენ პირველხარისხოვან როლს. ადამიანისთვის ყოვალგვარი ბუნებრივი მასალა წარმოდგენს არა უბრალო „ბუნებრივი დოვლათის, არამედ საზოგადოების საწარმოო ძალებისა და მოთხოვნილებების განვითარების დონის შესაბამისად.

პოსიბილიზმის სუსტი მხარე ამერიკულ ენვირონმენტალიზმთან შედარებით (პრინციპთა სიუხეშე, რომელსაც იგი აკრიტიკებდა) იყო შესაძლებლობათა– ალბათობათა რაოდენობრივი შეფასებების უგულებელყოფა, შესაძლებლობები ალბათობების, რომლებიც ახასიათებთ განსაზღვრული კულტურული ან ეკონომიკური შესაძლებლობების გეოგრაფიული ფაქტორების დანაწილებასთან კავშირს. ამ აზრით თანამედროვე საზღვარგარეთული სოციოგეოგრაფიის მეთოდები მის გამოყენებით და რაოდენობრივ დარგებში უფრო ახლოსაა ენვირონმენტალიზმთან, ვიდრე პოსიბილიზმთან.

საზოგადოებრივ მეცნიერებებში გეოგრაფიული მიმართულების პრობლემატიკა მრავალმხრივ არაა ამოწურული. სწორედ დღეს როდესაც უზომოდ გაიზარდა ადამიანის ზემოქმედება ბუნებაზე, უფრო მეტად ვლინდება მისი მნიშვნელობა ადამიანისთვის ღამის საქმიანობასთან გამწვანებელი კავშირი. ცხადი ხდება, რომ ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედება მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს წარმატებული, როდესაც იგი ემორჩილება მის კანონებს და ითვალისწინებს მთელის ძირითად კავშირებს, სხვაგვარად ნეგატიური შედეგები იმოქმედებენ თვით ადამიანზე, როგორც ბუნების ნაწილი, შეინიშნება მემკვიდრეობა გეოგრაფიულ მიმართულებასა და თანამედროვე „ადამიანურ ეკოლოგიას“ შორის, რომელიც სწავლობს ადამიანისა და მისი გარემომცველი გარემოს (ფართო აზრით) ურთიერთკავშირებს, კერძოდ ადამიანთა და სოციალურ ორგანიზაციათა სივრცობრივ-ვრცულ ურთიერთობებს